საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 235 (255) შაბათი, 30 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა გადაიდო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის ავადმყოფობის გამო

V

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა, რომელმაც მუშაობა განაახლა 29 ნოემბერს ნაშუადღევს, ჯერ კიდევ დღის წესრიგის საკითხების განხილვამდე გადაიდო.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა განცხადებისათვის სიტყვა მისცა დეპუტატ თამაზ ობგაძეს, რომელმაც მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით სხდომას აცნობა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულია ამ საზოგადოების სამი წევრი დიდი რაოდენობით ტყვია-წამლის უკანონო ფლობის ბრალდებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ესწრებოდა სხდომას, განმარტა, რომ რესპუბლიკაში დაიწყო და გრძელდება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა სახელმწიფო სტრუქტურებში გაერთიანების პროცესი. კერძოდ, პრეზიდენტმა დეპუტატებს აცნობა, რომ სპეცდანიშნულების ბატალიონმა „თეთრი არწივი" და ქუთაისის ბატალიონმა, რომლებიც უკანასკნელ დრომდე დაბანაკებულნი იყვნენ თბილისის ზღვის რაიონში, ერთგულება გამოუცხადეს პრეზიდენტს, ისინი განლაგდებიან ოფიციალური ხელისუფლების მიერ მითითებულ დისლოკაციის ადგილზე.

როგორც გამოირკვა, ეს ახალგაზრდები დეზინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი წინანდელი სარდლობის მიერ მოსკოვში მომხდარი აგვისტოს პუტჩის დროს გვარდიის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების მოტივებისა და მიზნების თაობაზე. სრული სიმართლე ყოველივე ამის შესახებ მათ შეიტყვეს თვით პრეზიდენტისაგან, რომელიც მათ შეხვდა და ესაუბრა გორში.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება უნდა გაერთიანდეს ოფიციალურ სტრუქტურებში — იქნება ეს ეროვნული გვარდია, თუ მუნიციპალური მილიცია — დაემორჩილოს კანონიერ ხელისუფლებას და ემსახუროს საქართველოს ინტერესებს. ბატონმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს ზღვაზე დაბანაკებული შეიარაღებული შენაერთის დარჩენილი ნაწილის საკითხიც, კერძოდ, მას უნდა მიენიჭოს სპეცდანიშნულების ბატალიონის სტატუსი, ბატალიონი, როგორც ყველა სხვა სამხედრო შენაერთი, უნდა დაექვემდებაროს კანონიერ ხელისუფლებას. მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება არსებული პრობლემა.

ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ოფიციალურ სტრუქტურებში უნდა გაერთიანდეს აგრეთვე მერაბ კოსტავას საზოგადოების ის ჯგუფი, რომელსაც აქვს შეიარაღება.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებმა, დეპუტატებმა გ. ხავთასმა და ვ. ადამიამ განაცხადეს, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოებას შეიარაღებული ჯგუფები არ ჰყავს; პრეზიდენტის მიმართ მათმა არაკორექტულმა ტონმა არეულობა შეიტანა სხდომის მუშაობაში. სხვადასხვა ფრაქციის დეპუტატთაგან გამოითქვა პრეტენზიები როგორც ერთმანეთის მიმართ, ასევე სესიის მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე. სხდომის გაგრძელება შეუძლებელი გახდა; გამოცხადდა შესვენება.

შესვენების დროს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობა ვეღარ მიიღო ბატონმა აკაკი ასათიანმა, რომელიც ნერვიულობის ნიადაგზე შეუძლოდ გახდა და მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.

შესვენების შემდეგ ბ-ნმა ნემო ბურჭულაძემ გააკეთა განცხადება, მან აღნიშნა, რომ ბ-ნი აკაკი ასათიანი საჭიროებს მკურნალობას; სესია მომზადებული იყო მის მიერ, ამიტომ აუცილებელია სხდომა გადატანილ იქნას სამშაბათამდე.

სესიამ მიიღო ბ-ნი ნ. ბურჭულაძის წინადადება. უზენაესი საბჭოს სესია მუშაობას განაახლებს 3 დეკემბერს.

• • •

თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან მორიგე ექიმმა ბატონმა ვახტანგ ხელაშვილმა გვაცნობა, რომ ბატონი აკაკი ასათიანი მოთავსებულია რეანიმაციის განყოფილებაში, დიაგნოზით: გულის იშემიური დაავადება, დაძაბვის სტენოკარდია.

ვიმედოვნებთ, უზენაესი საბჭოს სხდომები ბატონ აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით სულ მალე განახლდება.

---

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა უკრაინაში მცხოვრები ყველა ქართველისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

რამდენიმე დღის შემდეგ მონაწილეობას მიიღებთ უკრაინის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენაში. 1 დეკემბერს მანდ გაიმართება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები და საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ აქტისადმი დამოკიდებულების თაობაზე.

უკრაინა, რომელმაც შეგიფარათ თავის ბარაქიან მიწაზე, მტკიცედ დაადგა ეროვნული დამოუკიდებლობის გზას და თანამიმდევრულად იბრძვის თავისუფლებისათვის. სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ხალხი მხარს უჭერენ მოძმე უკრაინელი ხალხის მისწრაფებას მიაღწიოს საუკუნოვან ოცნებას — თავისი ქვეყნის თავისუფლებას. და არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განმასახიერებელი ამ ოცნების ახდომას, ადამიანთა უდრეკ ნებასა და ნათელ მისწრაფებებს რომ აერთიანებს.

1 დეკემბერს თქვენ მიხვალთ ხმის მისაცემად საარჩევნო ყუთებთან. გახსოვდეთ, თუ რა პირადი პასუხისმგებლობა გეკისრებათ ამ დღეს, რომელმაც უნდა განსაზღვროს თავისუფალი უკრაინის ბედი და მომავალი.

მოგიწოდებთ მოახდინოთ სწორი, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი შვილების ღირსი არჩევანი, ხალხისა, რომელიც ქვეყნად ყველაზე მეტად აფასებს თავისუფლებას, უსაზღვროდ ერთგულობს მის იდეალებს, მზად არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მისი გულისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 28 ნოემბერი.

---

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ე. ე. ნიქარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ენვერ ეფრემის ძე ნიქარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

---

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

**მარნეულის** რაიონში ბოლო დღეებში ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის შემთხვევებს, შეფერხებულია სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა, დარღვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმი, გავრცელდა ყაჩაღობის, ძარცვის, ადამიანის გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულის ფაქტები, რითაც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კანონით დაცულ ინტერესებს.

ამ რეგიონში შექმნილი ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის $121^{4}$-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

1. შემოღებულ იქნას საგანგებო წესები მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე 1991 წლის 30 ნოემბრიდან ერთი თვით.
2. მარნეულის რაიონის კომენდანტად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე სერგოს ძე მიქაბერიძე.
3. მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 29 ნოემბერი.

---

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის კონსტიტუციის $121^{4}$-ე მუხლის $6^{1}$-ე პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ.
2. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული გადაწყვეტილება წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შესათანხმებლად.
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების შესახებ კანონის მიღების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 29 ნოემბერი.

---

## დიალოგი ინტელიგენციასთან გრძელდება

**27 ნოემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა ინტელიგენციის, კერძოდ პედაგოგიური საზოგადოების წარმომადგენლებს — სკოლის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებსა და პროფესორებს, პედაგოგებსა და მეთოდისტებს.

— მოხარული ვარ, — განაცხადა პრეზიდენტმა, რომ კვლავ ვხვდებით ერთმანეთს, რომ ამ შეხვედრის ინიციატივა თქვენგან მოდის. რაც უფრო ხშირად შევიკრიბებით და გავუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს საზრუნავს, მით უფრო შევძლებთ გადავჭრათ მრავალი მოსაგვარებელი საკითხი, ჩამოვაყალიბოთ სწორი საზოგადოებრივი აზრი, პასუხი გავცეთ ჩვენს ოპონენტებს შინ თუ გარეთ. მით უმეტეს, რომ კვლავ მოქმედებენ დესტრუქციული ძალები. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ საქართველოს დამოუკიდებლობას, მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ცნობას. ოპოზიცია თავის შეიარაღებული შენაერთებით ცდილობს დაძაბულობის ახალი კერების შექმნას. ალბათ, იცით, ამ დღეებში თუ როგორი ობსტრუქცია მოუწყვეს მარნეულის პრეფექტს და ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ სასაზღვრო ტერიტორიასთან მომიჯნავე — სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფაქტობრივად ომია მოსალოდნელი...

მაგრამ სახიფათო ის არის, რომ ყველა ხერხი გამოცადა, მაგრამ ვერ შეძლო ნამდვილი ინტელიგენციის ჩათრევა, და ახლა ცდილობს ახალგაზრდების დარაზმვას მთავრობის წინააღმდეგ. ოპოზიციამ შეძლო შეეკრიბა ოცდაათამდე სტუდენტი და გამოეყვანა გაურკვეველი ლოზუნგით: „სტუდენტობა ის ძალაა, რომელზეც ვერც პარლამენტი, ვერც ოპოზიცია გავლენას ვერ მოახდენს!"

რა გავლენაზეა ლაპარაკი? რა უნდოდა ეთქვა თავისი აქციით ახალგაზრდებს? მათი რიგები მალე ჩანტურიის ბიჭებმა „გაამაგრეს", აქციაც გაიმართა. საბედნიეროდ, ხალხმა, თვით ახალგაზრდობამ, თქვენ, ინტელიგენციამ დაგმეთ ეს საქციელი. მდგომარეობა სერიოზულია. უნდა დაირაზმოს მთელი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით კი თქვენ, აღმზრდელები, რათა ვერავინ ვერ შეძლოს ახალგაზრდობის მოტყუება, რათა ჰქონდეთ უნარი გააკეთონ სწორი არჩევანი.

გრძელდება ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ. საბჭოეთის პრესა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები არ უშვებენ ხელიდან შემთხვევას, ცილი დასწამონ საქართველოს ხელისუფლებას, ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ რამენაირად ხელი არ შეეწყოს საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას როგორც იმპერიის მიერ, ისე მსოფლიო მასშტაბითაც.

შეხვედრის მონაწილეებმა ბატონ ზვიად გამსახურდიას მიულოცეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ და განაცხადა, რომ ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა ეს გადაწყვეტილება ალბათ საჭიროც იყო, რადგან ოპოზიციის „ბეჯითი" მუშაობით უცხოურ პრესაში საქართველოს პრეზიდენტს წარმოაჩენენ როგორც ინტელიგენციის მტერს, დესპოტს, კავკასიის სადამ ჰუსეინს.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

თბილისის უნივერსიტეტის ლექტორებმა, პროფესორებმა, სკოლების პედაგოგებმა, ტექნიკური და ჰუმანიტარული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოხატეს თავისი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ინტელიგენციის ერთსულოვნება საქართველოს სრული თავისუფლებისათვის.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პასუხი გასცა შეკრებილთა ბევრ საჭირბოროტო კითხვას, ისინი უმთავრესად შეეხებოდნენ სამაჩაბლოს პრობლემებს, არაკანონიერ შეიარაღებულ დაჯგუფებებს, საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას, რიგ თანამდებობის პირთა პირად პასუხისმგებლობას, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას, დისციპლინის განმტკიცებას, კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესებას და სხვა.

ილაპარაკა რა საქართველოს სუვერენიტეტის ცნობაზე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საკითხი შეთანხმებულია მთელ რიგ სახელმწიფოებთან, რომლებიც მზად არიან გვცნონ ჩვენ, მაგრამ საჯაროდ მათი დასახელება მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო. როგორც მაგალითი, მან მოიყვანა, თუ როგორ „იმუშავა" ოპოზიციამ, როდესაც აქტუალურად დადგა ისრაელის მიერ საქართველოს ცნობის საკითხი. ომი გამოუცხადეს ებრაელთა ოჯახებს, აოხრეს მათი საფლავებიც კი, რათა ჩრდილი მიეყენებინათ ჩვენს საუკუნეებით ნაცად ძმობისათვის.

საქართველოს ცნობას ყოველგვარი ხრიკებით ხელს უშლის სსრკ-ის ცენტრიც. ამ მიმართებით აქტიურად „იღვწიან" გალინა სტაროვოიტოვა, ელენე ბონერი, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ხოშტარია, და, რაღა თქმა უნდა, საბჭოეთის გადამრჩენლად მოვლენილი „მესია" — ედუარდ შევარდნაძე...

კითხვაზე თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საქართველოს პრეზიდენტს გენერალ დუდაევთან, მან უპასუხა; კარგი! და მოიყვანა ასეთი მაგალითი: როდესაც ოსებმა არაერთგზის ააფეთქეს გაზსადენი მილი, რათა საქართველო გაზის გარეშე დაეტოვებინათ, დუდაევმა მოიწვია ისინი და განუცხადა, რომ თვით გადაუკეტავდა გაზს, რომელიც თავდაპირველად მათ ტერიტორიაზე გადის!

ინტელიგენციას ესაუბრნენ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ენვერ ნიქარაძე, საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს დირექტორი ირაკლი კენჭოშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე რობერტ პეტრიაშვილი.

გამოითქვა აზრი მოეწყოს პრეზიდენტის შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

**სეისი.**

---

## შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან

**28 ნოემბერს** დღის 14 საათზე მინისტრთა კაბინეტის კონდარბაზში საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი შეხვდა ქართველ ებრაელებს. შეხვედრას ესწრებოდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი ენვერ ნიქარაძე.

თავის სიტყვაში პრემიერ-მინისტრი შეეხო იმ ურთიერთობებს, რომელიც ოდითგანვე არსებობს ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის და გამოთქვა რწმენა, რომ ამ ბოლო დროს გახშირებული ანტისემიტური მოქმედება, გაამწვავონ ურთიერთობანი ორ უძველეს მეგობარ ერს შორის, შედეგს ვერ გამოიღებს, პირიქით, ქართულ-ებრაული ურთიერთობანი ახალ სიმაღლეზე ავა თავისუფალ საქართველოში.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრების სურვილი პირადად მას ყოველთვის ექნება, რათა საუბარი წარიმართოს იმ პრობლემებზე, რომელიც ებრაელ ხალხს დღესდღეობით აწუხებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს — ისრაელის მეგობრობის ბორის გაპონოვის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე ილია გაგულაშვილი და სხვები.

---

## ფართო წრის ეკონომიკური ინტერესები

**27 ნოემბერს** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა მიიღო საქართველოში საქმიან ვიზიტად მყოფი ქალბატონი მარი-ჰელენ ვალეტი — სამრეწველო მომსახურების საერთაშორისო კონცერნის „შნაიდერის ჯგუფის" წარმომადგენელი. გაიმართა კონსტრუქციული საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები. იგი შეეხო ფართო წრის საკითხებს — საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, დასავლეთის საქმიან წრეებთან თანამშრომლობის პერსპექტივებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან და მის ცენტრთან საქართველოს ურთიერთობის პრობლემებს.

საუბრის დასაწყისში ქალბატონმა მარი-ჰელენ ვალეტმა, კერძოდ, განაცხადა, რომ საქართველოს მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა რამდენადმე ართულებს მასთან აქტიური ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებას. ამის პასუხად ითქვა, რომ საქართველო მტკიცედ დაადგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კურსს, და აპირებს განუხრელად იაროს დასახული მიზნისაკენ. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ საბჭოთა კავშირს, იგი პრაქტიკულად აღარ არსებობს. ეს ფაქტია, და დასავლელი მეწარმეებისათვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება იქონიონ საქმე უშუალოდ რესპუბლიკებთან, ვიდრე დაუკავშირდნენ მათ პოლიტიკურად გაკოტრებული შუამავლის — სსრ კავშირის მეშვეობით. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოში სრულიადაც არ გამოდიან სსრ კავშირის ყოფილ სუბიექტებთან ეკონომიკური თანამშრომლობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს თანამშრომლობა უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ ვერტიკალურ სტრუქტურებს და ეფუძნებოდეს მხოლოდ ჰორიზონტალურ კავშირურთიერთობებს. ეს ეკონომიკური ურთიერთობა, რა თქმა უნდა, უფრო მჭიდრო იქნება კავკასიის სახელმწიფო ფორმირებებს შორის.

ქალბატონმა მარი-ჰელენ ვალეტმა წარმოადგინა იმ სფეროების ნუსხა, სადაც კონცერნ „შნაიდერის ჯგუფს" შეუძლია დააბანდოს თავისი კაპიტალი. ეს არის, კერძოდ, აეროპორტების მოწყობილობა, სასტუმროების მშენებლობა და კეთილმოწყობა, წყალსაწმენდი სადგურების მოწოდება და დამონტაჟება და სხვ. შეეხნენ აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის ჩვენს რესპუბლიკაში სურსათის მოწოდება, ეკვივალენტური საქონლის გაცვლა, შესაბამისი წარმოების ინვესტირება იმ პირობით, რომ ეს ინვესტიციები ანაზღაურდება ერთობლივი პროდუქციით.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს „სეისის" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბორის კალანდიას და სთხოვა ეამბნა კონცერნის „შნაიდერის ჯგუფის" საქმიანობაზე.

— „შნაიდერის ჯგუფი", — თქვა მან; — ერთერთი უდიდესი კონცერნია საფრანგეთში. საკმარისია ითქვას, რომ თავისი კაპიტალითა და გავლენით მას მეექვსე ადგილი უკავია ქვეყანაში. მისი წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა ადგილზე შეესწავლათ სიტუაცია და განესაზღვრათ ის კონკრეტული სფეროები, სადაც შესაძლებელი იქნება ფრანგული კაპიტალის დაბანდება. კონცერნს შეუძლია დააფინანსოს ჩვენი მხრივ წარდგენილი პროექტები, რომლებსაც მისაღებად მიიჩნევს. გარდა ამისა, დიდი გავლენის მქონე ჩვენს პარტნიორებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ევროპარლამენტზე ჩვენთვის დახმარების გაწევის თვალსაზრისით.

— წარმატებული თანამშრომლობისათვის სტუმრები, ალბათ, გვიყენებენ თავიანთ პირობებს?

— პირობა ჯერჯერობით ერთადერთი და ჩვენთვის სავსებით მისაღებია — ჩვენ უნდა გვქონდეს საბაზრო ეკონომიკა. ეს გასაგებიცაა, რადგან ისინი შეჩვეული არიან აწარმოონ საქმეები მხოლოდ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

**სეისი.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

**მიწა** საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა. ვინ და როგორ განაგებს მას ჩვენს მიწამცირე რესპუბლიკაში? რა უნდა ვიღონოთ, რომ ძირეულად აღვკვეთოთ მიწის თვითნებური მიტაცებისა და დატაცების ფაქტები? როგორ გავუკვალოთ გზა მიწის რეფორმას?

სწორედ ამ საკითხის განხილვით დაიწყო 27 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. შემოწმებამ ცხადყო, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მოხდა მიწის კანონმდებლობის დარღვევის დაახლოებით 20 ათასი შემთხვევა. უკანონოდ გაცემული და მიტაცებული აღმოჩნდა დაახლოებით ექვსი ათასი ჰექტარი მიწა, რომელთაგან ორგანიზაციებზე მოდის 3885 ჰექტარი, მოქალაქეებზე კი — 2153 ჰექტარი. უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ მეურნეობებს დაუბრუნეს 5741 ჰექტარი მიწა.

1986-1990 წლებში გამოვლენილი ფაქტების გამო რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამსახურო მიწათმოწყობის ორგანოებმა აღძრეს მიწების მიტაცებასთან და საცხოვრებელი სახლების თვითნებურ მშენებლობასთან დაკავშირებული 400-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. სახალხო სასამართლოებში გასარჩევად შეიტანეს დაახლოებით 200 განცხადება უკანონოდ აშენებული სახლებიდან მოქალაქეთა გამოსახლების საკითხზე. მარტო შარშან და წლევანდელი შვიდი თვის მანძილზე შესაბამისმა ორგანოებმა გამოავლინეს კანონმდებლობის დარღვევის 6880 ფაქტი, რომელთა შედეგადაც დაიტაცეს 1021 ჰექტარი მიწა, აქედან ორგანიზაციებმა — 119, მოქალაქეებმა კი — 902 ჰექტარი.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე აღკვეთილია ხუთი ათასზე მეტი დარღვევა, საზოგადოებრივ მეურნეობებს დაუბრუნეს 756 ჰექტარი მიწა. წელს მათ დაუბრუნეს აგრეთვე 12.779 ჰექტარი მიწა, რომელიც ჩამოართვეს სამხედრო და სხვა უწყებებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე.

ბინების მშენებლობის, სახლების ყიდვა-გაყიდვის კანონმდებლობის, წესების უხეში დარღვევები გამოვლენილია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, თბილისში, წალკის, მარნეულის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, ბოლნისის, სენაკის, ახმეტისა და სხვა რაიონებში. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანიზაცია და საწარმო, მათ შორის კოოპერატივები, იტაცებენ საზოგადოებრივ მიწებს. თვითნებურად ხსნიან ქვისდამმუშავებელ კარიერებს, რითაც მატერიალურ და ეკონომიკურ ზარალს აყენებენ სახელმწიფოს.

მინისტრთა კაბინეტმა დასახა მიწების მიტაცებისა და უკანონოდ მითვისების ფაქტების აღკვეთის კონკრეტული ღონისძიებანი. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, სამინისტროებს, დეპარტამენტებსა და უწყებებს, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურებს, თბილისის მერიას დაევალათ მკაცრად იხელმძღვანელონ მიწის კანონმდებლობით. მათ შესაბამისი ორგანოების წინაშე უნდა დააყენონ საკითხი იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდნენ მიწების მიტაცებას, უკანონო მშენებლობას, მასალები დამრღვევთა შესახებ კი დაუყოვნებლივ გადასცენ საგამოძიებო ორგანოებს.

ინფორმაცია 1990 წელს და 1991 წლის პირველ ნახევარში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში (ექსპორტ-იმპორტი, საბარტერო ოპერაციები) ცეკავშირის მონაწილეობისა და მისი შემდგომი გაფართოების შესახებ გააკეთა ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ რესან კონცელიძემ. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა შორს გასცდა დღის წესრიგში მონიშნულ ფარგლებს. აღნიშნეს რა სამომხმარებლო საზოგადოებების კავშირის მუშაობა საგარეო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობის დამყარების, რესპუბლიკაში დეფიციტური საქონლის შემოტანის საქმეში, სხდომის მონაწილეებს პრინციპული სჯა-ბაასი ჰქონდათ გარდამავალი პერიოდის პირობებში რესპუბლიკის ცხოვრებაში ცეკავშირის როლისა და ადგილის შესახებ. ცნობად მიიღო რა წარმოდგენილი ინფორმაცია, მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს ამ საკითხებს, რათა ღრმად და ყოველმხრივ გაერკვეს რესპუბლიკის ეკონომიკის სტრუქტურაში ცეკავშირის სტატუსის განსაზღვრის საქმეში.

საქართველოსა და გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და გერმანიის „ანტონ ოლერტის" ფირმის თხოვნა თბილისში მისი ფილიალის გახსნის შესახებ. ამ ფირმამ განახორციელა ჩვენს რესპუბლიკაში ღვინის, შამპანურისა და სხვა სასმელების ჩამოსხმისათვის განკუთვნილი მოწყობილობის დიდი მოწოდება. მისი თბილისის ფილიალი ხელს შეუწყობს ქართული მარკით დამზადებული საქონლის ექსპორტს, დაამყარებს კავშირს მის დამამზადებლებსა და უცხოელ შემკვეთებს შორის, დაეხმარება ხელსაყრელ გარიგებათა დადებაში.

სხდომაზე განიხილეს საკითხი მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით შემნახველ ბანკებში ანაბრების სახეობათა სრულყოფის შესახებ. სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით გადაწყდა გაიზარდოს 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებანი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დაფინანსებისა და სხვა ხარჯებისათვის.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილებანი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სარესტავრაციო სამუშაოების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსისა და თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოთა დაფინანსების შესახებ, განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხები.

**სეისი.**

---

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს აქვს ცნობები, რომ მხედართუფროსთაგან ზოგიერთი პასუხისმგებელი პირი შეუდგა მოწყობილობის, შეიარაღების და ტექნიკის დემონტაჟს და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაზიდვას. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ნაწილთა და ქვედანაყოფთა ყველა მეთაურს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ ცენტრალური დაქვემდებარების ნაწილებს და დაწესებულებებს მოგიწოდებთ ყველა ზომა მიიღოთ იმისათვის, რომ თქვენდამი რწმუნებული ნაწილებისა და ქვედანაყოფების მთელი სამხედრო ქონება მთლიანი და უვნებელი იყოს. არ დაუშვათ მატერიალური ფასეულობების, მოწყობილობის, შენობების, შეიარაღებისა და ტექნიკის გაზიდვა, გადაცემა, გაყიდვა, გაფუჭება.

კატეგორიულად ვგმობთ აგრეთვე ყველას, ვინც ისეთი მოქმედების ნებას რთავს, რომლის მიზანია სამხედრო ქონების დატაცება, ხელთ გდება, გაფუჭება. მოვითხოვთ არ დაუშვათ საქართველოს რესპუბლიკის კანონთა საწინააღმდეგო მოქმედება.

---

### საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო გიწვევთ

**რიგით** ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებს, მიჩმანებს, ზემდეგებსა და ოფიცრებს, რომლებსაც ნამსახურები გაქვთ სასაზღვრო ნაწილებში (ან დამთავრებული გაქვთ შესაბამისი სასაზღვრო ჯარების სკოლა), ხელს გიწყობთ ჯანმრთელობა და გაქვთ სურვილი იმსახუროთ საქართველოს სასაზღვრო ჯარებში.

სამსახურის პირობების შესახებ მიმართეთ სასაზღვრო ჯარების სამმართველოს.

მისამართი: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა № 2, ოთახი 609.
ტელეფონი: 93-36-04, 99-95-25.

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.**

---

## საზღვარგარეთ

**ხორვატიის** პრეზიდენტი ფრანიო ტუჯმანი დათანხმდა, რომ გაერთიანებული ერების სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილები მშვიდობის დასაცავად, განალაგონ ხორვატიაში, საბრძოლო მოქმედების რაიონებში. ადრე ჯარების განლაგება სერბეთის საზღვარზე უნდოდათ რათა არ დაკანონებულიყო ახალი საზღვრები. შეგახსენებთ, რომ ხორვატიაში ბრძოლების შედეგად სერბებმა მისი ტერიტორიის ერთიმესამედზე მეტი დაიკავა. ამ დღეებში იუგოსლავიაში ჩავა გაეროს სპეციალური წარმომადგენელი შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი საირეს ვენსი, რათა შეარჩიოს ტერიტორიები, სადაც გაეროს ჯარები განლაგდება.

**პრაღაში** გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომლებიც იუგოსლავიის კრიზისის მოგვარების საკითხებს განიხილავენ. შეხვედრა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის ინიციატივით მოეწყო.

იერუსალიმიდან იუწყებიან, რომ ისრაელი დათანხმდა, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის ნიუ-იორკის რაუნდი 4 დეკემბერს დაიწყოს. ამავე ვადაზე თანხმობა განაცხადეს სირიამ, ეგვიპტემ, პალესტინამ და იორდანიამ. ადრე ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ლევიმ სურვილი გამოთქვა, რომ შეხვედრა მოგვიანებით 9 დეკემბერს გამართულიყო, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე შეხვედრის გადავადებას არ დაეთანხმა. ვარაუდობენ, რომ მორიგი რაუნდი მოსკოვში გაიმართება. შეხვედრის მასპინძლობის სურვილი ჰელსინკმაც გამოთქვა.

**მოსკოვში,** თეთრი სახლის წინ გაიმართა აზერბაიჯანელთა მიტინგი. მიტინგზე გამოსული ორატორები რუსეთის ფედერაციის აზერბაიჯანის საქმეებში ჩარევის აღკვეთას, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით კი ყარაბაღიდან საბჭოთა ჯარების გაყვანას მოითხოვდნენ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის პარლამენტის საგანგებო სესიამ ყარაბაღის ავტონომიური ოლქი გააუქმა, რამაც ძალიან გაართულა მისი ურთიერთობა მეზობელ სომხეთთან.

**პრეზიდენტ** მიხეილ გორბაჩოვის პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც შეშფოთებაა გამოთქმული შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირების განცხადების გამო უკრაინის რესპუბლიკის შეერთებული შტატების მიერ შესაძლო აღიარების თაობაზე. საერთაშორისო წრეებში დიდი ინტერესით ელიან პირველ დეკემბერს უკრაინაში დანიშნულ რეფერენდუმს, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე: სურთ თუ არა უკრაინის მოქალაქეებს დამოუკიდებლობა. უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში ამერიკის ადმინისტრაციაში მწიფდება აზრი უკრაინის საერთაშორისო ნორმებით ცნობის შესახებ.

ეს გარემოება კი გადამწყვეტ შანსს აძლევს საქართველოსაც. გაზეთი „ლოს ანჯელეს თაიმს" მოჰყავს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირის ტარასენკოს სიტყვები, რომ შეერთებული შტატების მიერ უკრაინის ცნობა ჩაშლის პრეზიდენტ გორბაჩოვის მცადინეობას ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ და შეამცირებს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლენასო. რუხის ლიდერმა ვიქტორ ბურლაკოვმა კი შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოზიციას უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე „ბრძნული" უწოდა.

**გრძელდება** შეერთებული შტატების მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ატლანტისის" მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე. ხომალდის ბანზე მეტწილად სამხედრო ექსპერიმენტებს აწარმოებენ. ახლახან ცნობილი გახდა, რომ „ატლანტისმა" კურსს გადაუხვია, რადგან ორბიტაზე 25 წლის წინათ გაშვებულ საბჭოთა რაკეტის ნამტვრევებს შეხვდა. „ატლანტისმა" საბჭოთა რაკეტის ნაშთებს ექვსნახევარი კილომეტრის დაშორებით შემოუარა.

**როგორც** ცნობილია საბჭოთა ოფიციალური მონაცემებით ავღანეთში გაჩაღებული ომის დროს დაიღუპა 14 ათასზე მეტი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე, რადიო „თავისუფლება" ეყრდნობა რა ყოფილ მაღალი თანამდებობის, ამჟამად კი თადარიგში გასულ სამხედრო მოსამსახურეებს ამტკიცებს, რომ ავღანეთში ომის დროს 27 ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი დაიღუპა.

**ბიშინ,** ავტოკატასტროფაში დაიღუპა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ნასირდინ ისანოვი. შეგვატყობინეს ტელეფონით ბიშკეკიდან.

## თანადგომა

# მშენებლებს ზამთარი აჩქარებს

**ცნობილია**, რომ მიწისძვრამ არც ტყიბულელები და ცაგერლები დატოვა გასაჭირის გარეშე. ტყიბულში დაზიანებულია 685 სახლი, 7 საშუალო სკოლა, 4 საბავშვო ბაღი, 2 საავადმყოფო და სხვა ნაგებობანი. დღეისათვის ტყიბულის ზონაში დამთავრებულია 200-მდე სახლის მშენებლობა. საცხოვრებელ სახლებთან ერთად მთავრდება განათლების განყოფილების № 5 საბავშვო ბაგა-ბაღის შეკეთება, № 1 და მუხურის საშუალო სკოლების დაპროექტება და სხვა.

ცაგერლებმა კი გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით თავი გაართვან მიწისძვრისაგან დაზიანებული სახლებისა და სხვა ობიექტების აღდგენით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს დავალებით ცაგერში მუშაობას შეუდგა „საქჰიდროენერგომშენის" (ტრესტის მმართველი მიხეილ ცისკარიშვილი, და საქართველოს საშენ მასალათა ტრესტის (მმართველი გურამ კაკულია) 11 ორგანიზაცია.

პრესაში აღნიშნული იყო, რომ ტყიბულის მომარაგება-გასაღების ბაზა მშენებლებს სათანადოდ და დროულად ვერ ამარაგებს საშენი მასალებით. საყვედური სამართლიანია, ბაზაში გამეფებული იყო უპასუხისმგებლობა. დროულად არ იცლებოდა სამშენებლო მასალებით დატვირთული რკინიგზის ვაგონები. ბაზის მუშაკები ხშირად უპირატესობას ანიჭებდნენ ეგრეთ წოდებულ პრივილეგირებულ სამშენებლო ორგანიზაციებს, რაც, ბუნებრივია, სხვა დაწესებულებების გულისწყრომას და მოცდენას იწვევდა.

შეიცვალა მომარაგება-გასაღების ბაზის ხელმძღვანელობა. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მშენტრესტის „მშენკომპლექტის" ახალმა ბაზამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამშენებლო ორგანიზაციების მომარაგების გაუმჯობესების საქმეს.

350 მეტრი სიგრძის ახალმა რკინიგზის ხაზმა მდგომარეობა გამოასწორა და აღარც ვაგონები ცდება და აღარც მშენებლები. თუ კვირაში 7-10 ვაგონის დაცლას ძლივს ასწრებდნენ, ახლა ყოველდღიურად 30-45 ვაგონს ცლიან. თითქმის ერთი-ოთხად გაიზარდა შემოსული ვაგონების რაოდენობა. რკინიგზის ტყიბულის სადგური მთელი დღე-ღამის განმავლობაში პიკური სისტემით მუშაობს. სამწუხაროდ, ვაგონების მანევრირებას მხოლოდ ერთი თბომავალი ვერ აუდიოდა. ნორმალური მუშაობისათვის კიდევ ორი თბომავალი მოემატა და მდგომარეობა გამოსწორდა.

მშენებლებს კვლავ მრავალი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი. აკლიათ ტრაქტორები, ექსკავატორები და სხვა. საჭირო რაოდენობის სამშენებლო მასალებითაც ვერ მარაგდებიან, აკლიათ სახურავის მასალა, მრგვალი ხე-ტყე, აგური, საკედლე ბლოკი, პემზა, შავი ლითონი, ხე-ტყის მასალა, ცემენტმზიდები ზოგჯერ უქმად დგანან სათანადო ნაწილების უქონლობის ან მძღოლთა კადრების სიმცირის გამო. აქ კვალიფიციური სპეციალისტები — ინჟინერ-ეკონომისტებიც დეფიციტია, ეძებენ მუშახელს.

მშენებელთა წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კვებით უზრუნველყოფაზე. ისინი ჯერ კიდევ განიცდიან პურის, შაქრის და სიგარეტის ნაკლებობას, საერთოდ კვების საკითხი გადაუდებელ მოგვარებას მოითხოვს.

ძნელია 91 ორგანიზაციიდან რომელიმეს გამოყოფა. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მალე დაამთავროს მშენებლობა, რომ გაჭირვებულმა ხალხმა ღია ცის ქვეშ, კარვებში არ იცხოვროს. ზამთარი კი კარს მოგვადგა.

ამბროლაურის რაიონში, როგორც კომპლექსის ხელმძღვანელი ბატონი ნოდარ ხარაბაძე აღნიშნავს, თავდაუზოგავად შრომობენ № 7 ტრესტი (გივი ჯუჯაჯიანი), „სპეცმშენი" (გურამ ჩახვაძე), „საქსომხეთმშენი" (ზაურ მაჭავარიანი), „საქჰიდროენერგომშენი" (მიხეილ ცისკარიშვილი), საშენ მასალათა სამშენებლო ტრესტი (გურამ კაკულია), აგროსამრეწველო გაერთიანების სამშენებლო ტრესტი (ოთარ აფაქიძე), სენაკის № 2 სამშენებლო ტრესტი (ომარ გაბედავა).

მთისათვის დამახასიათებელი მკაცრი ზამთარი დგება. აქაც და მიწისძვრისაგან დაზარალებულ საქართველოს სხვა რეგიონებში ჩვენი სახელოვანი მშენებლები სიძნელეებს ვაჟკაცურად ართმევენ თავს. ყველა დანგრეული ობიექტი რომ მაღალკვალიფიციურ დონეზე აღადგინონ, რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსი, მაკოორდინებელი შტაბი დიდ ძალისხმევას იჩენს. საქართველოში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროულად დამთავრებისათვის თავს არ ზოგავენ მშენებელ-მემონტაჟეები, დამპროექტებლები, გეოლოგები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**გივი ბუჩაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.**

## განვიხილავთ კანონპროექტს

# რამდენიმე წინადადება

**მიწის** რეფორმაზე გამოქვეყნებული კანონპროექტი, ჩვენი აზრით, სრულყოფილი არაა. ამაზე ჩვენს პრესაში გამოითქვა შენიშვნები. ზოგიერთი მათგანი შესანიშნავად გამოხატავს გლეხის ინტერესებს.

ჩვენც გვინდა გამოვთქვათ შეხედულება. რამდენადაც თვითონაც გლეხთა წრეში მიხდება ცხოვრება, შემიძლია თამამად ვთქვა: გლეხის ჭირ-ვარამი ვიცი, კარგად ვიცნობ მის შინაგან ბუნებას.

გლეხის იდეალია კერძო საკუთრება. ამიტომაც ის წვრილ ბურჟუად მონათლეს. მიწა მის საკუთრებად იყო გამოცხადებული, ჭირნახული კი...

კანონპროექტში ნახსენებია „მიწათმფლობელი" და „მიწის მესაკუთრე". ეს რაში სჭირდება გლეხს? ის უნდა იყოს მიწის მესაკუთრეც და მისი მფლობელიც, ხოლო თუ როგორ გამოიყენებს მას, ეს მისი საქმეა. ყოველ შემთხვევაში, უჭკუოდ არ გაანიავებს. გლეხმა იცის მიწის ყადრი, სწავლულ აგრონომზე უკეთ ესმის მისი დამუშავების მეთოდები. ერთი სიტყვით, მიწა იკუთვნის გლეხს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე!

კანონპროექტი გვერდს უვლის გლეხის უფლებას ადრინდელ (კოლექტივიზაციამდე) მიწებზე. ამის უგულებელყოფა კი არ შეიძლება. ამ საკითხზე პრესაში სხვადასხვა აზრი გამოჩნდა. ბატონი გიზო ხარნაძე წერს: საერთოდ, ლაპარაკიც კი ზედმეტია, ეგრეთ წოდებული ბაბუა ჩემისეული თუ პაპისპაპისეული მიწების დაბრუნებაზეო. მისი აზრით, მოსახლეობამ უკუღმართად გაიგო მიწის პრივატიზაცია და ამას „სასაცილოდ" მიიჩნევს. მაგრამ ასე არ გახლავთ საქმე. ჩვენს მამა-პაპას დიდი გაჭირვებით შეუძენიათ მიწები, ვინ იცის რამდენი უშიმშილიათ, უწვალიათ თითოეული მტკაველი მიწისთვის და ჩვენ მემკვიდრეობას ვთხოულობთ, ეს არც სასაცილოა და არც გასაკვირი.

რამდენადაც მესმის, ჩვენებური გლეხკაცი სხვის მიწაზე, ნაწყალობევ ნაკვეთზე არც დასახლდება, ხოლო თუ დასახლდა, გაუთავებელი მტრობა, ხატზე შერისხვა და შესაძლებელია სისხლისღვრაც მოჰყვეს მას.

ჩვენს პრესაში იმასაც იუწყებოდნენ, რომ ბალტიისპირეთის ზოგიერთ რესპუბლიკაში გამოცხადდა მიწის რეფორმა, რომლის ძალითაც ერთი ჰექტარი მიწის ფასი 2-დან 12 ათასამდე მანეთია. ძნელი სათქმელია, ამით ვის რისი თქმა უნდა, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველოშიც ასე გავაკეთოთ, ეს ძირშივე მცდარია. ნუთუ არავის ებრალება საწყალი გლეხი? საიდან, რა საშუალებით იშოვოს მან ამდენი ფული?

გლეხს ის საკარმიდამო ნაკვეთი, რაც ამჟამად აქვს, ხელუხლებლად უნდა დარჩეს, პლუს ამას თავისი ყოფილი მიწა (აქ კი ნამდვილად შეიძლება დავუშვათ შეზღუდვა, ვთქვათ 5 ჰექტრამდე), და ყველაფერი — უსასყიდლოდ. საკუთარ მიწას ხომ ვერ მივყიდით მის კანონიერ მფლობელს? უკიდურეს შემთხვევაში, შეღავათიან ფასებში (ცხადია, საკარმიდამო ნაკვეთი არ იანგარიშება).

იქნება ვინმემ დასვას კითხვა: კომუნისტების დროს გლეხს თითქმის მთლიანად წართმეული ჰქონდა მიწა, ხმას კი არავინ იღებდაო. კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ეს დიქტატურის შიშით იყო გამოწვეული.

ვთქვათ, ყოველივე რეალურად გაკეთდა. საქმე მიდგება შრომის იარაღებზე, რა საშუალებებით დაამუშაოს გლეხმა მიწა? შუა საუკუნეების იარაღებს — კავსა და სახნისს ხომ არ გამოიყენებს? საჭირო იქნება ტრაქტორები. სად შეიძენს; აქ მას აუცილებლად სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. მცირე გაბარიტიანი ტრაქტორებიც გამოსადეგი ვერ იქნება, საჭიროა საშუალო ძალიანი ტრაქტორები. ცალკე რომ დავაარსოთ სატრაქტორო პარკები, ტრაქტორისტები მას თავიანთი ჯიბის გასქელებისათვის გამოიყენებენ. ამ შემთხვევაში გლეხს უნდა მიეყიდოს ტრაქტორი. ერთი ინდივიდი ამას, იქნება, ვერ შეძლებს, მაგრამ რამდენიმე გლეხი შეთანხმდება საერთო მფლობელობად შეიძინოს იგი. არ იქნება ცუდი, თუ სახელმწიფო კრედიტებით დაეხმარება მათ.

დასასრულს საჭიროა, რომ რეფორმის საქმეში ჩავრთოთ ღრმად განსწავლული სპეციალისტები, რომლებსაც კარგად ესმით გლეხკაცის გასაჭირი.

**ნ. ლაშხია,**
**ზუგდიდი, სოფელ კორცხელი.**

## პრობლემა

# გადავარჩინოთ ქვანახშირის საბადოები

**საქართველოს** ქვანახშირის მრეწველობის მძიმე კრიზისის სრულყოფილად გადმოცემა ერთ საგაზეთო სტატიაში არ მოხერხდება, მაგრამ რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოკლედ მაინც უნდა შევჩერდეთ ბოლო წლებში დაშვებულ იმ უხეშ შეცდომებზე, რომლებმაც ეს ძირძველი დარგი ყოფნა-არყოფნის მიჯნამდე მიიყვანა და მისი ჩიხიდან გამოყვანის საქმე დღითი დღე ძნელდება და სათუო ხდება.

ცნობილია, რომ კავკასიაში ქვანახშირის საბადოები მარტო საქართველოშია და მისი სოლიდური მარაგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე იქნება ჩვენი ერის სამსახურში. ამიტომ თუ ჩვენს ქვეყანას სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაბრუნება უწერია, ეს დარგიც უნდა არსებობდეს და ვითარდებოდეს.

ქვანახშირის მოპოვებას საქართველოში ერთნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. საქართველოს ქვანახშირის საბადო ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. სპეციფიკური ბუნებრივი სირთულეები ამ დარგის მუდმივი თანამგზავრია. მაგრამ დღევანდელი კრიზისული ვითარების ჩამოყალიბებას საბჭოთა იმპერიის რღვევით გამოწვეული ვითარების გარდა ხელი შეუწყო შინაურმა დაუდევრობამ, არაკომპეტენტურობამ და ზნეობრივმა სიმახინჯემ.

ბოლო ათ წელიწადში „საქქვანახშირის" საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ (გენერალური დირექტორი ბორის სანიკიძე, წარმოების დირექტორი შოთა ლელაძე) თავი ვერ გაართვა ჩვენი რესპუბლიკის რთულ პრობლემებს და უხეში ტექნიკური შეცდომები დაუშვა, რითაც საფუძველი გამოაცალა ამ დარგის განვითარების ყველა შესაძლებლობას. ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში მაშინდელი ტექნიკური დირექტორის შოთა ლელაძის თაოსნობით შემუშავებული ე. წ. „ტყიბულ-შაორის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების კომპლექსური ღონისძიება" საბედისწეროდ აღმოჩნდა მთელი საბადოსათვის. შახტების არსებული საზღვრების მოშლით ერთმანეთთან გაერთიანდნენ მოქმედი შახტები, რაც მიწისქვეშა უსაფრთხოების წესების უხეში დამახინჯების კურიოზული მაგალითია. გაერთიანდა მიწისქვეშა ხანძრები, დაირღვა შახტების განიავების ნორმალური რეჟიმი, უმართავი გახდა ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიება და გართულდა წყალქცევა. ყველაფერი ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ტყიბულის შახტების მოქმედი ველები ენდოგენური ხანძრების ყოველდღიურ საშიშროებაშია მოქცეული.

შახტების ოდითგანვე დადგენილი მარაგის უცოდინრად ხელახალი გადანაწილების შედეგად სამუშაო ფრონტის გარეშე აღმოჩნდა რესპუბლიკის ყველაზე დიდი მწარმოებლობის მქონე ყოფილი ლენინის სახელობის შახტი და ორი ათასი ტონა დღეღამური მწარმოებლობა 250-300 ტონამდე დაეცა. შექმნილია რეალური საშიშროება იმისა, რომ ეს უდიდესი შახტი ამ საუკუნის დამლევს (თუ მანამდე არა) შეწყვეტს თავის არსებობას. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა მინდელის სახელობის შახტიც. ჩიხში მოექცა მისი განვითარების შესაძლებლობა, რადგან მუშა ველების ყოფილი ლენინის სახელობის შახტის გამომუშავებულ სივრცეებთან უშუალოდ მიერთებით შეიძლება ხანძრები გარდაუვალი გახდეს. რესპუბლიკის ეს ყველაზე პერსპექტიული შახტი მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდან 18 წლის შემდეგ თავისი საპროექტო მწარმოებლობის მხოლოდ ერთი მეოთხედითაა დატვირთული. შახტის ძირითადი ჰორიზონტი (სართული), სადაც ქვანახშირის ამოღების უდიდესი რეზერვი მოგვეპოვება, 16 წელიწადია უმოქმედოდ და უპატრონოდაა მიტოვებული. იგი ინგრევა და მწყობრიდან გამოდის. თუ ვითარება რადიკალურად არ შეიცვალა, ეს შახტიც ყოფილი ლენინის სახელობის შახტის ბედს გაიზიარებს.

„უყურადღებოდ" არც ყოფილი ორჯონიკიძის სახელობის შახტი დარჩენილა. მარაგის მოახლებული ამოწურვისა და მაღალი ნაცარშემცველობის გამო, 1975 წელს შაორის ფრთაზე ახალი საშახტო ველის მშენებლობა დაიწყეს. რატომღაც, არც ეს დროული ღონისძიება მოეწონათ საწარმოო გაერთიანების თავკაცებს და გააუქმეს მიწისქვეშა ნაგებობებიანად სამი კილომეტრი სიგრძის კაპიტალური გვირაბები, რომლებსაც 8 წელიწადს აშენებდნენ და ხუთი მილიონი მანეთი დაახარჯეს, შახტი კი დარჩა გამოლეული და უხარისხო მარაგის ამარად.

თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება და შეაჯამებს ბოლო ათ წელიწადში წინდაუხედაობის შედეგად გაუქმებული გვირაბების საერთო სიგრძეს, იგი იმდენი აღმოჩნდება, რაც ერთი ახალი თანამედროვე შახტის ასაშენებლად გვეყოფოდა.

შორს წაგვიყვანდა იმის აღწერა, თუ, რა ფინანსური და მორალური ზარალი განიცადეს ჩვენმა შახტებმა, როცა მათ რეალური პირობების გაუთვალისწინებლად თავს მოახვიეს ქვანახშირის მოპოვების ე. წ. კომპლექსური მექანიზაცია. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ სხვა საბადოებისათვის შექმნილ ამ რთულ კომპლექსებს ჩვენს შახტებში წარმატება არ ეწერა, რადგან ჩვენი თვითაალებადი ქვანახშირის სქელ ფენაში ხელოვნურად შექმნილი ჰორიზონტალური შრეების დაღმავალი რიგით და ჭერის ჩამოქცევით მუშაობის დროს მიწისქვეშა ხანძრების წარმოშობის თავიდან აცილება შეუძლებელია. ასეც მოხდა. მინდელის სახელობის შახტში, სადაც ეს ექსპერიმენტი დიდი ზარ-ზეიმით დაიწყო, ერთ წელიწადში გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად დახანძრულ ზვავებში დარჩა ორი კომპლექსი. უქმად დაიხარჯა ხუთასი ათასი მანეთი და ხანძარმოდებულ სივრცეში ჩაიკეტა ერთ მილიონ ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირის მარაგი, რომლის გადარჩენა თითქმის შეუძლებელია. კიდევ უფრო კურიოზული შეცდომები განმეორდა „დასავლეთ" და ყოფილი ლენინის სახელობის შახტებში.

ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ კომპლექსური მექანიზაციის ასეთი „დანერგვისათვის" საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებმა ორჯერ სცადეს თავიანთი თავი საქართველოს სახელმწიფო პრემიაზეც კი წარედგინათ, როგორც იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია.

ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოში ასეთი „წესრიგის" დამყარების შედეგად საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებმა ახალციხის ქვანახშირის საბადო აითვალწუნეს და 1987 წელს ეს 70 მილიონი ტონა მარაგის მქონე საბადო გააუქმეს.

ახალციხის შახტები სამხრეთ საქართველოს აღორძინებისათვის იყო აშენებული და ამ დიდ საქმეს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ჩვენი სამშობლოს ამ უძველეს მიწა-წყალზე კვლავ მომრავლდნენ და მოძლიერდნენ ქართული ოჯახები. შახტების დახურვამ ამ სახელმწიფო საზღვრის რეგიონში საგრძნობლად შეამცირა ქართველი მოსახლეობა და ე. წ. „თურქ მესხებს" თავიანთ „ყოფილ სამშობლოში" დაბრუნების პრეტენზია აღეძრათ.

1989 წლის პოლიტიკურმა მოვლენებმა კორექტივები შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებში. ასპარეზიდან წავიდნენ ის ადამიანები, რომლებიც ხელს აფარებდნენ „საქქვანახშირში" შექმნილ რთულ ვითარებას. წავიდა „მეფის ნაცვალი" ბორის ნიკოლსკი და სხვებიც. შესაბამისად „საქქვანახშირსაც" ჩამოაცილეს ის ხელმძღვანელები, რომლებმაც ამდენი ზიანი მიაყენეს ამ დარგს. გაჩნდა იმედი, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობა სწორ გზაზე დადგებოდა.

სამწუხაროდ, ასე მაინც არ მოხდა. რა გამოლევს ჩვენში კეთილი საქმის — მოშურნეს და ორგულს. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ხელს არ აძლევდა დაცემული მრეწველობის ფეხზე წამოყენება, რადგან დაძაბულ ვითარებაში იოლად აპირებდენ ხელის მოთბობას. 1990 წელს ტყიბულში დაიწყო საგაფიცვო აქციები „საქქვანახშირის" საწარმოო გაერთიანების ქუთაისიდან ტყიბულში გადმოტანის და ოკრიბის რეგიონის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. ამან უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყანას და თვით მეშახტეებს.

ამჟამად არანორმალური ვითარებაა შექმნილი ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოშიც, რადგან იქაური მეშახტეები სრულიად სამართლიანად არ ეთანხმებოდნენ საწარმოო გაერთიანების ქუთაისიდან ტყიბულში გადატანას. სამწუხაროა, რომ ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ ერთი დაძაბული რეგიონი გაგვიჩინა აფხაზეთში.

ყოველმხრივ მწვავე ვითარებაა დღეს ტყიბულში. უსაგნო გაფიცვების შემდეგ შახტებში აღარ დაბრუნდა ბევრი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეშახტე, სამაგიეროდ მომრავლდნენ შრომაზე გულაცრუებული ადამიანები.

უკიდურესობამდე დაეცა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. ტექნიკურ მომარაგებაში შექმნილი სირთულეების შედეგად თითქმის გაჩერდა შახტების მოსამზადებელი გვირაბების მშენებლობა, საშახტო შიგასატრანსპორტო და საკომპრესორო მეურნეობა, ოფიციალურად უარი გვეთქვა გაისისათვის საჭირო მომარაგებაზე (ხე-ტყე, ლითონი, საწვავ-საპოხი მასალა, მანქანა-მოწყობილობები, შიგატრანსპორტის სხვადასხვა მოწყობილობა. სათადარიგო ნაწილები, ავტოსატრანსპორტო ნავთობ-პროდუქტები და ა. შ.). უკიდურეს დონემდე დაეცა ცხოვრების დონე. ყველაზე ცუდად დღეს ტყიბულში მეშახტეთა ოჯახები ცხოვრობენ. მეშახტე თვეში იმაზე ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ნებისმიერი კოოპერატორი თუ მოიჯარე — დღეში. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, შახტებში მუშაობის როგორი სურვილი ექნებათ ადამიანებს. საწარმოო გაერთიანების ბაზაზე ორჯერ იმაზე მეტი კოოპერატივი და მოიჯარე ორგანიზაციები არსებობენ, ვიდრე შახტები. ძნელი სათქმელია, რომ ამ სიახლეებმა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს მოუტანოს სარგებლობა. ადამიანები შახტებისაკენ პირს არ მოიბრუნებენ, სანამ ჩვენს ირგვლივ სპეკულაციის გზით გამდიდრების ატმოსფეროა.

მიუხედავად ასეთი უმძიმესი გარემოებებისა, ქვანახშირის მრეწველობა აუცილებლად უნდა გამოვიყვანოთ შექმნილი კრიზისიდან. მართალია, ქვანახშირის რთული პრობლემების გადაწყვეტა იოლი საქმე არ არის, მაგრამ საქართველოს ახალი ხელისუფლება მაინც პოულობს დროს და ამზადებს მისი სტაბილიზაციის ღონისძიებას. ამჟამად ამ ღონისძიების ირგვლივ მსჯელობას აღარ შევუდგებით, რადგან საბჭოთა სისტემის რღვევამ იმდენი არევ-დარევა შეიტანა სახალხო მეურნეობაში, რომ რაიმე გარკვეული სადი მოსაზრების გამოთქმა შეუძლებელია. აღარ არსებობს ქვანახშირის მრეწველობის საკავშირო სამინისტრო, იგი რუსეთის და უკრაინის რესპუბლიკებმა გაიყვეს. შუა აზიის რესპუბლიკების ქვანახშირის საბადოები რუსეთის ქვანახშირის მრეწველობის კორპორაციაში შევიდნენ, ხოლო საქართველოს ქვანახშირის საქმე ყოველმხრივ გაურკვეველია. ერთი რამ ამთავითვე ცხადია, გარდამავალ პერიოდში ე. ი. სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის გამოყვანა რუსეთის ან უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის დაქვემდებარებიდან ამ დარგის სრულ გაუქმებას ნიშნავს, რადგან იმ დოტაციის გარეშე, რომელსაც დღემდე ვღებულობთ, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას ერთი დღეც არ შეუძლია იარსებოს. ეს არ არის ისეთი დარგი, გაჩერების შემდეგ რომ მისი აღდგენა შეიძლებოდეს, და ყოველივე ეს რასაც ნიშნავს, ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს. ამ რთული საკითხის გადაწყვეტის მიწურული თვეებია დარჩენილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მთავრობა დროულად შეუდგება ამ საქმის მოგვარებას.

„საქქვანახშირმა" რესპუბლიკის სანუკვარი თავისუფლების მიღწევამდე თავისი მრავალი ტექნიკური პრობლემის მოგვარება უნდა მოასწროს, რაც ძირითადად ამ დარგის რენტაბელობასთან მიახლოებას უნდა მოხმარდეს. ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს. რაში მდგომარეობს ეს შესაძლებლობები? პირველ ყოვლისა, საქმე ეხება ქვანახშირის მარაგების მოვლა-პატრონობას. სამწუხაროდ, არასახარბიელო მემკვიდრეობა გადმოგვყვა ამ მხრივ, ვაც ღვთის მიერ ნაბოძებ ბუნებრივ სიმდიდრეზე ხშირად ვლაპარაკობთ, მაგრამ კრინტსაც არ ვძრავთ იმის თაობაზე, თუ როგორ უდიერად ვეპყრობით მას ბოლო წლებში. ქვანახშირის სქელი ფენის დამუშავების შრეობრივი სისტემისათვის ტყიბულში შემუშავებული იყო შრეების მოწინავე გამკვეთებზე ბლოკებად გამომუშავების მეტად ორიგინალური ტექნოლოგია. თავის დროზე ამ ტექნოლოგიის და ჭერის მართვის ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის შერწყმამ და წარმატებით ათვისებამ ხელი შეუწყო ქვანახშირის მოპოვების აღმავლობას საქართველოში. სამწუხაროდ, დღეისათვის ქვანახშირის ფენების დამუშავების შრეობრივი სისტემა თანდათანობით დავიწყებას ეძლევა, ხოლო ჭერის მართვის ჰიდრავლიკური ვსება 1975 წლიდან უკუგდებული და უარყოფილია.

გამობრძმედილ სამთო სპეციალისტებსაც გაუჭირდება იმის გარკვევა, თუ რა სისტემით ხდება დღეს ქვანახშირის მოპოვება ჩვენს შახტებში, რადგან იგი ქვანახშირის ფენების დამუშავების არც ერთ დღემდე არსებულ ტექნიკურ მეთოდს არ ესადაგება. აქ მხოლოდ სპეციალისტებისათვის გასაგებ ტექნიკურ ენაზე მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო. ტყიბულის ერთ-ერთ წამყვან და ყველაზე პერსპექტიულ შახტში ქვანახშირის შვიდი გამოსალები შრე სამ შრედ მუშავდება თითოეული 10-15 მეტრის სისქეზე. სპეციალისტები სწორად გაიგებენ თუ როგორი „დამუშავება" ეწოდება ასეთ სამთო წესქვეილებით მუშაობას, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ უარესი არა. თითოეულ ამ „მსუქან შრეში" გაყვანილი საზიდი და სავენტილაციო გვირაბები ხშირად გამკვეთებითაც არ უკავშირდება ერთმანეთს (ცნება „ლავა" ხომ კარგა ხანია ტექნიკურ ტერმინადაც აღარ იხმარება ტყიბულში). ეს ყრუ გვირაბები უკუსვლით, ადგილობრივი განიავების ვენტილატორის გამოყენებით მუშავდებიან.

ასეთი ბარბაროსული მუშაობის წინააღმდეგ ბევრი ჩვენი სპეციალისტი იმაღლებს ხმას, რაზეც არაერთი ოფიციალური დოკუმენტი ინახება საწარმოო გაერთიანების არქივებში, მაგრამ გასული წლების ტექნიკური დიქტატურა დღემდე ძალაში რჩება.

მეტად სავალალო შედეგი მოგვიტანა ასეთმა მუშაობამ. ჯერ ერთი, წესიერ შრომას გადაეჩვია არა მარტო მეშახტეები, არამედ ინჟინერ-ტექნიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილიც. დღეისათვის ვერც ერთ შახტში ვერ მოვძებნით ისეთ სპეციალისტს, რომელმაც ლავა გაამაგროს და შრეებად დამუშავების პროექტით გათვალისწინებულ წესს მიჰყვეს. სამწრით და ოფლით გადახსნილ და მომზადებულ ველებში მონგრეული მაღალი ხარისხის ქვანახშირის 60 პროცენტი წიაღში რჩება და სამუდამოდ იკარგება, ზედაპირზე კი ფუჭი ქანებით მინარევ პროდუქციას ვეზიდებით.

ერთი სიტყვით, ბოლო ათი წელიწადია ვადგავართ ქვანახშირის მარაგის გაჩანაგების გზას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მას თანდათან ვეგუებით და ნორმალურ მოვლენად ვაჩვენებთ. თუ შექმნილ ვითარებას მოქალაქეობრივი და პროფესიული სინდისის პოზიციიდან განვსჯით, ამ დასკვნამდე მივალთ, რომ ტყიბულის ბევრ ნიჭიერ ხელმძღვანელ სპეციალისტს არ ეყო ნებისყოფა, ხელი ჩაიქნია და დათმო თავისი პოზიცია. ეს კი ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ტრაგედიაა. ნუთუ ამდენმა მწარე გამოცდილებამ ვერ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტყიბულის ყოფილი ლენინის და მინდელის სახელობის შახტებში ქვანახშირის მოპოვება ჰიდრავლიკური ვსების გარეშე შეცდომა კი არა, დანაშაულია.

თუ საქმეში პატიოსნად ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის ამ ორი უდიდესი შახტის დღევანდელი სავალალო ვითარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ პროექტიდან უხეში გადახვევის — ვსების გაუქმების შედეგია.

მაინც რა არის ეს ჰიდრავლიკური ვსება, რომლის ხსენებაზე ალერგია ემართება ზოგიერთ გავლენიან სპეციალისტს?

ამ მეთოდის ვრცელი განმარტების შესაძლებლობა აქ არ არის, მაგრამ შევეცდები მოკლედ ავხსნა მისი უპირატესობა: მინიმუმამდეა დაყვანილი ქვანახშირის მარაგის დანაკარგები, გამორიცხულია ენდოგენური ხანძრები, მიღწეულია უსაფრთხოდ მუშაობა, მაღალია პროდუქციის ხარისხი, თავიდანაა აცილებული სამთო დარტყმების საშიშროება და უმჯობესდება შიდასაშახტო განიავების რეჟიმი. აი, ასეთ მეთოდზე ითქვა უარი ტყიბულის შახტებში. ჰიდრავლიკური ვსების თანდათანობით აღდგენისათვის ყველაფერი გვაქვს ტყიბულში: სავსები მასალის საუკეთესო კარიერი, ორგანიზებული სამმართველო და ჯერ კიდევ შემორჩენილი კადრები, მაგრამ გვაკლია მთავარი — სურვილი და შრომის სიყვარული. ჩვენ კეთილი გულით უნდა ვურჩიოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც დღემდე არ სურთ აღიქვან ეს ტექნიკური ჭეშმარიტება: თუ გვიანი არ იქნება, ეგებ გამოიცვალონ პროფესია.

დღის წესრიგში უნდა დადგეს ახალციხის უმართებულოდ დახურული საბადოს ხელახლა გახსნის საკითხი. ამ საბადოში დაძიებული მარაგი გადასინჯვას მოითხოვს, რადგან საეჭვოა ფენების გავრცელების საზღვარი სახელმწიფო სასაზღვრო ზოლს ემთხვეოდეს. თუ ქვანახშირის ფენები მეზობელი თურქეთის ტერიტორიულ წიაღშიც ვრცელდება, შესაძლებელია ეს საბადო ორივე სახელმწიფოს საერთო ძალისხმევით გაიხსნას და დამუშავდეს, ვინაიდან თურქეთის მთავრობა ცხოველ ინტერესს იჩენს საქართველოს ქვანახშირისადმი. გარდა ამისა, ჯერ კიდევ სამოციანი წლებიდან არსებობს ყურადსაღები მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ახალციხის მურა ნახშირების და დანარჩენი საბადოების შეღუდი პროდუქციის ბაზაზე აშენებულიყო თბოელექტროსადგურები, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტაში. ამ სასარგებლო ღონისძიების განხორციელება კვლავ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

იმპერიის გარდაუვალი დაშლის და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის პირობებში ჩვენს მრეწველობას თავისი ფინანსური მდგომარეობის ძირფესვიანი გარდაქმნა დასჭირდება. ჩვენი მრეწველობა მზად უნდა შეხვდეს იმ რთულ ფინანსურ სიძნელეებს, რომლებიც საკავშირო ბიუჯეტიდან დოტაციის შეწყვეტასთან იქნება დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ჩვენი შახტები ისევე როგორც ბევრი სხვა სამთო საწარმო, არარენტაბელურია, ე. ი. პროდუქციის რეალიზაციით ჩვენი შახტები იმაზე ნაკლებ სახსრებს იღებენ, ვიდრე ამ პროდუქციის მოპოვება უჯდებათ. ეს სხვაობა კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნაზღაურდება დოტაციის სახით. დღეისათვის ეს დოტაცია საშუალოდ ერთ ტონა ქვანახშირზე 60 მანეთია, მაშინ, როცა სამოციან წლებში იგი 4 მანეთს არ აღემატებოდა. შეიძლება თუ არა ამ დოტაციის მინიმუმამდე შემცირება? გვაქვს თუ არა შახტებში შიდარეზერვები, რომელთა ამოქმედება რენტაბელობასთან მიგვაახლოებს?

დოტაციის მკვეთრი შემცირება დღევანდელ პირობებში ჩვენს შახტებს არ ძალუძთ, თუ არ შეიცვალა ქვანახშირის ამჟამად არსებული გასაყიდი ფასები, ე. ი. არ შეწონასწორდა სარეალიზაციო ფასი და ფაქტობრივი თვითღირებულება. ფასების ასეთი გადასინჯვის საკითხი ოცი წელიწადია დღის წესრიგში დგას, მაგრამ მისი გადაწყვეტისათვის არავის ცხელოდა, რადგან საერთოდ არსებობდა სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვის უფრო იოლი გზა.

არსებობს რენტაბელობის მეორე მხარე, რომელიც გამომუშავებული პროდუქციის ერთეულზე შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებაზეა დამოკიდებული. თვითღირებულების შემცირების ყველაზე სწორი საშუალებაა სამუშაო პროცესების სრული მექანიზაცია, მაგრამ ეს სიტყვები კვლავ რჩება ლამაზ ლოზუნგად, რადგან ჩვენი რთული საბადოს სანგრევის სამუშაო პროცესების შესატყვისი მექანიზაცია დღემდე არ არსებობს. მიუხედავად ასეთი ხარვეზებისა, ჩვენ მაინც გვაქვს შახტების რენტაბელობის საკმაოდ ხელმისაწვდომი რეზერვი. ეს რეზერვი პროდუქციის მოცულობის თანდათანობითი ზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაა. სად და როგორ დავიწყოთ ამ ღონისძიების განხორციელება? ამისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია ტყიბულის მინდელის და ყოფილი ლენინის სახელობის შახტებში გავასწოროთ ის უხეში ტექნიკური შეცდომები, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ტყიბულის საბადოში ფაქტიურად ეს ორი შახტი შემოგვრჩა, რომლებიც ქვანახშირის ფენათა მშვიდი სტრუქტურული წყობით და მაღალი ხარისხით გამოირჩევიან. ამათგან ერთს (მინდელის სახელობის შახტს) მთელი საუკუნისათვის საკმარისი მარაგი „მიუზომეს", მეორეს (ყოფილ ლენინის სახელობის შახტს) კი აღარაფერი დაუტოვეს და მას გარდაუვალად მოელის დახურვა. აი ეს უკუღმართობა უნდა გამოსწორდეს. საბადოს ამ ერთადერთ ხელსაყრელ რაიონში სამუშაო ველები ისე უნდა განაწილდეს, რომ ორივე შახტს მიეცეს ქვანახშირის მოპოვების ზრდის თანაბარი შესაძლებლობა. დღევანდელ რთულ სიტუაციაში ტყიბულის ქვანახშირის საბადოს შენარჩუნების მეორე გზა არ არსებობს.

ქვანახშირის ფენების დამუშავების შრეობრივი სისტემის აღდგენა ეკონომიკის გაუმჯობესების კიდევ ერთ რეზერვს გვმატებს.

ცნობილია, რომ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს სქელი ფენა შეიცავს ლიპტობიოლიტური ნახშირების ორ მძლავრ ფენას, რომლებიც დღემდე არ მუშავდება და სამუდამოდ იკარგება. ქიმიური მრეწველობის და სხვა მრავალი დარგის ეს ძვირფასი ნედლეული ისეთი სწორუპოვარი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელიც ქვანახშირზე რამდენჯერმე ძვირად ფასობს. გარდა ამისა, მისი დამუშავებით ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს დასამუშავებლად გათვლილი მარაგი 15-20 პროცენტით გაიზრდება. თუ რა სასარგებლო შედეგს მოგვიტანს ამ რეზერვის ამოქმედება, ცხადზე ცხადია. ეს საკითხი ახალი არ არის, იგი დროულად იყო დაყენებული, მაგრამ მისი განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა.

დადგა დრო თვალისჩინივით მოვუაროთ საქართველოს ქვანახშირს. იგი ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა.

**დავით დობორჯგინიძე,**
**„საქქვანახშირის" საწარმოო გაერთიანების მთავარი სამთოელი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.**

## გამოძახილი

# ტყეს თანადგომა სჭირდება

**ჩვენი** რესპუბლიკის დღევანდელი ვითარების ფონზე, ჩემთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო პროფესორ გერონტი ხარაიშვილის ვრცელი წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" (1991 წლის 10 ოქტომბერი) ფურცლებზე: „დაიცავს მიწას, გაზრდის მოსავლიანობას. ერთხელ კიდევ ტყის ზოლების შესახებ". მოულოდნელი იყო არა იმიტომ, რომ წერილში დასმული საკითხები არ ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას, პირიქით, რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე საუბარი დაგვიანებულიც კი არის. თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ და მოვლენებს თავის სახელს დავარქმევთ, განადგურების პირასაა მისული ჩვენი სოფლის მეურნეობა და მისი აღდგენის, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანის თითქმის არავითარი პერსპექტივა არ ჩანს.

იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას და მუქ ფერებში ვხატავ სოფლის მეურნეობის დღევანდელ ყოფას, რომ არ მინდა ბატონ გერონტი ხარაიშვილის ნათქვამი დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". პირველ რიგში კი ეს ხმა ყურად უნდა იღოს ჩვენმა მთავრობამ, რადგანაც მრეწველობის სხვადასხვა დარგთა განვითარების მიუხედავად, საქართველო არის და, ალბათ, მომავალში დარჩება აგრარულ ქვეყნად. ეს, ვფიქრობთ, განპირობებულია მისი ბუნებრივ-კლიმატური და, მე ვიტყოდი, ქართველი კაცის ბუნებით. ამიტომ ახალი ქვეყნის შენების დროს ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და ყველაფერი გაკეთდეს, რათა დროულად გამოინახოს მისი განვითარების გზები, რომლის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად, საყრდენ ბურჯად მიმაჩნია ჩვენი რესპუბლიკის ბუნებისა და მისი ძირითადი კომპონენტის — ტყეების მდგომარეობის და კვლავწარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა უახლოეს მომავალში განხორციელება.

ტყე ჩვენთვის არ არის მხოლოდ სამშენებლო და სათბობი მასალა (რომელიც ჩვენ დღეს ასე გვჭირდება), არ არის მხოლოდ ლამაზი ლანდშაფტები, სადაც უნდა ვაშენოთ კურორტები და ტურისტული ბაზები და, რაც მთავარია, არ არის პირუტყვის საძოვრები და მეცხოველეობის განვითარების იოლი საშუალება, როგორც მიიჩნიეს ახლო წარსულში რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა. მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ტყეს, როცა 1987 წლის 12 აგვისტოს დადგენილებით, თითქოსდა მოსახლეობის პირუტყვის საკვების უზრუნველყოფის მიზნით, სატყეო მეურნეობის სისტემას ჩამოერთვა და საძოვრებად გადაეცა 14,8 ათასი ჰექტარი ეროზირებულ ფართობებზე გაშენებული დაცვითი ტყის ნარგაობანი, რომელიც დღეისათვის განადგურების პირასაა მისული. ამასთან ერთად გადაეცათ 54,1 ათასი ჰექტარი ტყის ველობები, რითაც ფაქტიურად დააკანონა ტყეებში პირუტყვის უკანონო ძოვება. ეს ტყისთვის უარესია, ვიდრე მცენარის ყოველგვარი უნებართვო ჭრა. ამ დროს კი ცნობილია, რომ ტყის ბალახი უყუათო და დაბალი კვებითი ღირებულებით ხასიათდება.

პირუტყვის უსისტემო ძოვება განსაკუთრებით დამღუპველად მოქმედებს მთის ზედა საზღვრის ტყეებზე, რომელიც კატასტროფულად იწევს ძირს და, თუ არ იქნა გადამჭრელი ზომები მიღებული, უახლოეს მომავალში დიდ ფართობებზე გაგვიშიშვლდება ფერდობები, შეუძლებელი გახდება მისი ხელოვნური აღდგენა და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის სავალალო შედეგები, რაც მას მოჰყვება, რადგან საქართველოს ტყეების უმრავლესობა წყალდაცვითი, დაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური, საკურორტო, სანაკრძალო და საპარკო ფუნქციისაა.

ტყეების დიდი ნაწილი (98 პროცენტი) განლაგებულია მთის ფერდობებზე, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს მისი შენარჩუნების, კვლავწარმოების, ჯიშთა შემადგენლობის და პროდუქტიულობის ამაღლებაში.

ცნობილია, რომ ჩვენთან დაბალ დონეზეა საკვების წარმოება და სავალალო მდგომარეობაშია სათიბ-საძოვრების დიდი ნაწილი. აღნიშნულის გამო მცირე რაოდენობის პირუტყვიც კი ზედმეტ ტვირთად აწვება საძოვრებს. ჩვენთან პირუტყვის ძოვება უსისტემოა, რაც იწვევს საძოვრების გადატვირთვას, ეროზიული პროცესების დაწყებას და მთის ფერდობების გაშიშვლებას. ამას თან სდევს მთაში ალპური საძოვრებისა და შესაბამისად ტყეების დაბლა დაწევა. ამიტომ, თუ ჩვენ შევძლებთ მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფას, ამით დიდი შეღავათი მიეცემათ მთის ტყეებს.

ბატონი გ. ხარაიშვილი სწორად შენიშნავს, რომ დღეს მინდორ-საცავი და სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც ძირითადად განპირობებულია დაპროექტებისა და გაშენების პერიოდში ჯიშთა შერჩევისას დაშვებული შეცდომებით. როგორც წესი, როცა რაიმეს ვაკეთებთ, ყოველთვის ვჩქარობთ, გვინდა მალე მივიღოთ სასურველი შედეგი და დაცვითი ტყის ზოლების გაშენებისას აქცენტი გადატანილი იყო სწრაფმზარდ ჯიშებზე (ვერხვები, აკაცია, ევკალიპტი და სხვა). არ გაითვალისწინეს, რომ ვერხვი (განსაკუთრებით კანადური ვერხვი) მოკლე სიცოცხლისუნარიანია და უფრო მალე კვდება მშრალ პირობებში, რომ აკაცია ქსეროფიტი სიმშრალის ამტანი არ არის, ხოლო ევკალიპტი ადვილად იღუპება დაბალი ტემპერატურის გამო და შედეგიც არ აყოვნებს. დღეს დაცვითი ტყის ნარგაობათა დიდი ნაწილი დაღუპულია ან დაღუპვის პირასაა მისული. საჭიროა დროულად მოხდეს მათი აღდგენა-განახლება ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად სწარმოებს რესპუბლიკაში სახელმწიფო ქარსაცავი ტყის ზოლების მდგომარეობის შესწავლა და მათი აღდგენის ღონისძიებათა დაპროექტება. ამიტომ, თუ დროულად დაკანონდება, რომ დიდი სიგანის მქონე (53-63 მეტრი) ზოლები შეიცვალოს 6-8-მწკრივიანი ტყის ზოლებით, მათი სიგანე 2,5-3-ჯერ შემცირდება და ასეულობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გამოთავისუფლდება.

ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია გაუქმდეს 1987 წლის 12 აგვისტოს დადგენილება. დაისვას საკითხი ეროზირებული ფართობების გატყიანებისა და ტყის ველობების ისევ სატყეო მეურნეობისათვის დაბრუნების შესახებ.

**ტრისტან ჩერქეზიშვილი,**
**რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში.**

## აქტუალური ინტერვიუ

# შიდსი: უნუგეშო პროგნოზები

**ჯანმრთელობის** დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად 1 დეკემბერს ეწყობა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე. წლეულს იგი მიმდინარეობს დევიზით: „გავაერთიანოთ საერთო ძალისხმევა შიდსთან ბრძოლაში".

შიდსის ეპიდემიის საშიშროება ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, რეალურია, მიაჩნია შიდსის პროფილაქტიკისა და მასთან ბრძოლის რესპუბლიკური ცენტრის მთავარ ექიმს თენგიზ ცერცვაძეს. საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს („სენის") კორესპონდენტთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, სპეციალისტთა აზრით, თუ სასწრაფო ღონისძიებანი არ განხორციელდა, 2000 წლისათვის საქართველოში იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულ ადამიანთა რიცხვი 20 ათასს მიაღწევს, ხოლო კიდევ ათი წლის შემდეგ — რამდენიმე ასეულ ათასს.

**— ბატონო თენგიზ, როგორია ამჟამად საქართველოში მდგომარეობა „მე-20 საუკუნის შავ ჭირთან" დაკავშირებით? რას ეფუძნება თქვენი ესოდენ პესიმისტური პროგნოზი?**

— დღეისათვის საქართველოში გამოვლენილია საშინელი სენის მქონე ცხრა კაცი, მათგან ხუთი უცხოელია, რომლებიც დეპორტირებული არიან თავიანთ ქვეყნებში. ოთხი ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებია, რომელთაგან ორი გარდაიცვალა. ცოცხლად დარჩენილთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ მეთვალყურეობენ ექიმები. მთელ რიგ შემოწმებულებს აღმოაჩნდათ შიდსზე საეჭვო რეაქცია, ამიტომ ახლა ისინი გადიან განმეორებით შემოწმებას. გარდა ამისა, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ რამდენიმე კაცს, აგრეთვე იმათ, ვინც შრომაგასწორების კოლონიებში იმყოფება, მედიკოსებმა გამოუვლინეს შიდსზე დადებითი რეაქცია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობაში მკვლელი ვირუსი ცირკულირებს. ეს ადამიანები ავად არ არიან, მაგრამ მათ ყველაზე დიდი მიდრეკილება აქვთ დაავადებისადმი და შეიძლება მისი გავრცელების პოტენციური წყარო გახდნენ. ყველას მათ მეთვალყურეობენ ექიმები. მაგრამ არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი ინფიცირებული გვყავს.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ საქართველოში არც ერთი შიდსით დაავადებული არ იყო. ამიტომ მღელვარების ყველა საფუძველი არსებობს. დღეს ეპიდემიის ტალღები ულმობლად მოძრაობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და საკმაოდ სწრაფად ვრცელდება აზიის კონტინენტზე. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ხომ იგი მიჩნეული იყო რეგიონად, რომელსაც გვერდს აუვლიდა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. ეს პირველი საშიში სიგნალია.

**—კიდევ ერთი: შიდსით დაავადების შემთხვევათა მრუდი ნელნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს ზემოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. დღეს ვირუსის მატარებელთა რიცხვმა შვიდასს გადააჭარბა. მაგრამ კიდევ რამდენია დაუდგენელი?**

საქართველოს გასვლა საერთაშორისო სარბიელზე, მისი იმ მცხოვრებთა მკვეთრად გაზრდილი რიცხვი, რომლებიც სხვადასხვა საქმეზე მიემგზავრებიან საზღვარგარეთის ქვეყნებში, ათასობით ბიზნესმენი, ტურისტი, სხვა უცხოელები, რომლებიც ყოველწლიურად ჩამოდიან საქართველოში — ამ დადებით მოვლენებს, სამწუხაროდ, უკანა მხარეც აქვს. საქართველოში შიდსის „შემოტანის" საფრთხე დღითიდღე იზრდება.

**— რა უნდა ვქნათ? ჩავკეტოთ საზღვრები?**

— არავითარ შემთხვევაში! ეს არც უშველის საქმეს. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენების ყურადღება მივაპყროთ ამ პრობლემას, გავწიოთ აქტიური სანიტარიული პროპაგანდა. თითოეულმა უნდა შეიგნოს საფრთხის დონე, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები შემდგომი ქცევის მიმართ. ავადმყოფობას ხომ საზღვარი არა აქვს.

**— არსებობს სხვადასხვა აზრი შიდსის გადადების გზებზე, როგორია ისინი სინამდვილეში?**

— მეცნიერები საბოლოოდ დაადგნენ ერთ აზრს, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გადადება შესაძლებელია მხოლოდ სამი გზით: სქესობრივი კონტაქტის დროს, დასნებოვნებული სისხლის და მისი პროდუქტების მეშვეობით, ინფიცირებული დედისაგან ბავშვზე.

ეს ვირუსი შედარებით არამყარია ადამიანის ორგანიზმის გარეთ. იგი არ გადაედება მუშაობის დროს კონტაქტებისას, სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში, ხელის ჩამორთმევის ან შეხების დროს. იგი არ გადაედება აგრეთვე საჭმლისა და წყლის მეშვეობით, ჭურჭლის ერთობლივი ხმარებისას, სურდოს ან დაცემინების დროს, აუზებსა თუ ტუალეტებში. კოღოები და სხვა მწერები არ შეიძლება იყვნენ ვირუსის გადამტანები. საშიში არ არის არც ჩვეულებრივი სოციალური კონტაქტები.

რესპუბლიკაში შექმნილია და მოქმედებს ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ერთიანი სისტემა. ქალაქებსა და რაიონებში მოქმედებს 32 დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სადაც შეიძლება კაცმა გაიაროს ანონიმური გამოკვლევა. შიდსზე სავალდებულო შემოწმებას გადის ყველა დონორი, უცხოელები, რომლებიც რესპუბლიკაში ჩამოდიან სამ თვეზე მეტი ხნით, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეები, მომავალი დედები, აგრეთვე ვენერიული სენით დაავადებულნი, ნარკომანები, მეძავები, ჰომოსექსუალისტები და „რისკის ჯგუფის" სხვა ადამიანები.

— ჯერჯერობით არ არსებობს შიდსის მკურნალობის ეფექტიანი მეთოდები, — თქვა დასასრულ თენგიზ ცერცვაძემ, — თითოეულს უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესი, შიდსის პრობლემის სწორი გაგება დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ სასიკვდილო საფრთხე.

**იური გოლდმანი,**
**საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს „სენის" კორესპონდენტი.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 1 დეკემბერი გამოაცხადა შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღედ. 1991 წელს ეს დღე აღინიშნება დევიზით: „შიდსთან ბრძოლა საყოველთაო ამოცანაა".**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან გამოგზავნილი მასალების მიხედვით შიდსთან ბრძოლის რესპუბლიკურმა ცენტრმა ამ დღესთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებლად მოამზადა ათი ძირითადი დებულება**

# შიდსთან ბრძოლის ათი შეგონება

**1. შიდსი მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემაა.**

შიდსის პანდემია დედამიწის ყველა კონტინენტზე გავრცელდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სადღეისოდ, მსოფლიოს 163 ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებულია 418 ათასზე მეტი შიდსიანი ავადმყოფი და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებული დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი (ვირუსმტარებელი). ვარაუდობენ, დაავადებულთა და ინფიცირებულთა რეალური რიცხვი ბევრად მეტია, რადგან განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოკვლეული არ არის. ყოველდღიურად ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირდება დაახლოებით 5000 კაცი. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამოვლენილია 700-მდე ინფიცირებული და 70 ავადმყოფი, მათგან ნახევარზე მეტი 14 წლამდე ასაკის ბავშვია.

**2. აივ და შიდსი.**

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) არის ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული დაავადების ბოლო სტადია. მოსახლეობის მოზარდ ნაწილში ეს პროცესი საშუალოდ 5-დან 10 წლამდე გრძელდება. აივ ინფიცირებული ადამიანი, ჯანმრთელი გარეგნობის მიუხედავად, დაავადების გავრცელების თვალსაზრისით, ისევე საშიშია როგორც ავადმყოფი.

ცნობილია, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის გადაცემის მხოლოდ სამი გზა არსებობს:

— ინფიცირებულ პარტნიორთან სქესობრივი კავშირი;

— ინფიცირებული სისხლი და მისი კომპონენტები;

— ინფიცირებული დედის მიერ ახალშობილზე გადაცემა ორსულობის ან მშობიარობის დროს:

**3. აივ ინფექციის სქესობრივი კავშირით გადაცემა შეიძლება თავიდან ავიცილოთ.**

ვირუსის გადაცემა შეიძლება მოხდეს მამაკაციდან ქალზე, ქალიდან მამაკაცზე და მამაკაციდან მამაკაცზე. გადაცემის თავიდან ასაცილებლად ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა შემთხვევითი სქესობრივი კავშირისაგან თავის შეკავება. ვირუსის გავრცელების რისკი შეიძლება არსებითად შემცირდეს პრეზერვატივის სწორად გამოყენებით.

**4. ვირუსის სისხლით გადაცემა შეიძლება თავიდან ავიცილოთ.**

დონორთა სისხლი და მისი კომპონენტები გულდასმით უნდა შემოწმდეს შიდსზე, ხოლო ინფიცირების შემთხვევაში გაუვნებელდეს და ამოღებულ იქნეს ხმარებიდან.

ნემსები, შპრიცები და სხვა ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენება დაკავშირებულია კანის მთლიანობის დარღვევასთან, ყოველი ხმარების შემდეგ აუცილებლად უნდა გასტერილდეს, ხოლო ერთჯერადი გამოყენების ანალოგიური დანიშნულების ინსტრუმენტები გაუვნებელდეს და განადგურდეს.

**5. საჭიროა ვიცოდეთ როგორ არ გადადის ვირუსი.**

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი გარემოში არამდგრადია. ის არ გადაიცემა სამსახურებრივი კონტაქტის დროს, სკოლაში, ხელის ჩამორთმევით ან შეხებით. ვირუსი არ გადაიცემა საჭმლით ან წყლით, საერთო ჭურჭლის გამოყენებით, დაცემინებით ან ხველებით, აუზებში ან საპირფარეშოებში. ვირუსი არ გადააქვთ კოღოებს და სხვა მწერებს. ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონტაქტები საშიშროებას არ წარმოადგენს.

**6. აივ ინფიცირებული ადამიანების ან შიდსით ავადმყოფების იზოლაცია გამოსავალი არ არის.**

ავადმყოფთა და ინფიცირებულ პირთა იზოლაცია თავისთავად არის პიროვნების უფლებების დარღვევა და დისკრიმინაცია, რომლებსაც არავითარი სიკეთე არ მოაქვთ საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის, რადგან:

— ინფიცირებულ პირთა და შიდსით ავადმყოფთა იზოლაცია მოსახლეობაში იწვევს უსაფრთხოების ცრუ გრძნობას, ადუნებს ყურადღებას და ბადებს უდარდელობის გრძნობას ინფექციის მიმართ.

— იზოლაციას მივყავართ იქამდე, რომ შიდსის პრობლემა გადადის იატაკქვეშეთში, რაც აძნელებს პროფილაქტიკური ღონისძიების გატარებას.

**7. მოსახლეობის ინფორმირება და სწავლება შიდსთან ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებაა**

სანამ მეცნიერები არ მოძებნიან შიდსის სამკურნალო ეფექტიან საშუალებებს ან არ შექმნიან ვაქცინას, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ საკუთარ ქცევას და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების ზედმიწევნით დაცვას, რათა თავიდან ავიცილოთ შიდსის გავრცელება. ასეთ პირობებში შიდსთან ბრძოლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა მოსახლეობის ინფორმირება და სწავლება.

**8. შიდსი მთელი კაცობრიობის საფრთხეა.**

შიდსისთვის არ არსებობს განსხვავება რასობრივი, ეროვნული და სქესობრივი ნიშნებით, ასაკით და სოციალური მდგომარეობით. არც ერთ ადამიანს არ გააჩნია იმუნიტეტი შიდსის მიმართ. მომავალში შიდსის პრობლემა, ასე თუ ისე, შეეხება საზოგადოების თითოეულ წევრს.

**9. გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა.**

შიდსი გლობალური პრობლემაა. შიდსის გავრცელების შეჩერება ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღვკვეთავთ მის გავრცელებას მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ერთობლივი მუშაობით, ძალისხმევისა და რესურსების გაერთიანებით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას შიდსის პანდემიასთან ბრძოლაში.

**10. რა უნდა აკეთოთ თქვენ?**

თქვენი წვლილი შიდსთან ბრძოლაში ის იქნება, რომ გაიცნობიეროთ შიდსის პრობლემა და დაეხმაროთ სხვებსაც მის გაცნობიერებაში. შიდსთან ბრძოლის დღის ყოველწლიურად ჩატარება შესაძლებლობას იძლევა ისევ და ისევ მივმართოთ ჩვენი ყურადღება და ძალისხმევა ამ საჭირო პრობლემისკენ.

ეს დღე მთელ მსოფლიოში აღინიშნება ათასობით დიდი და პატარა ღონისძიებით იმისათვის, რომ განუმარტონ მოსახლეობას ინფექციის საშიშროება, გააძლიერონ ადამიანთა სიფხიზლე, გამოხატონ სოლიდარობა და თანადგომა. ამ დღეს — შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეს — ასევე ყოველდღე, თქვენ შეგიძლიათ შეუერთდეთ კაცობრიობის ძალისხმევას შიდსთან ბრძოლაში.

**1991 წლის პირველი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეა!**
**შიდსთან ბრძოლა საერთო ამოცანაა!**

**მომზადებულია შიდსთან ბრძოლის რესპუბლიკური ცენტრის მიერ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისაგან მიღებული მასალების მიხედვით.**

## საკუთარ სახლში

# ახალი ქარხანა

**მიწისძვრით** დაზარალებული ონის რაიონის აღდგენით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ საწარმოთა რიცხვს კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა. გაერთიანება „საქარამადნეულის" სამშენებლო მასალების ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია — ღორღი და ქვიშა, რომელსაც მაღალხარისხოვანი ცემენტის სამუშაოთა წარმოებისთვის იყენებენ. გარეცხვის შედეგად მინარევისგან განთავისუფლებული ქვიშა და ღორღი საუკეთესო ხარისხის სამშენი მასალაა. დღეში საშუალოდ ქარხანა 600 კუბურმეტრ პროდუქციას უშვებს და ცდილობს დააკმაყოფილოს არა მარტო ონის, არამედ მეზობელი ამბროლაურის რაიონიც.

ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული ქარხნის მცირერიცხოვანი კოლექტივის მიზანია ჯეროვანი წვლილი შეიტანოს აღდგენითი სამუშაოების დაჩქარებაში.

**ვივი ბეჟაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.**

# შევარდნაძის პენიტენციარული სისტემა საქართველოში

**1976 წლის** 2 მარტს გამაცნეს სსრკ უზენაესი სასამართლოს 17 თებერვლის წერილ-პასუხი, რომელიც შემოკლებით მომყავს:

გთხოვთ, გამოუცხადოთ მსჯავრდადებულ მაცაბერიძეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისადმი გამოგზავნილი საჩივარი სსრკ უზენაესმა საბჭომ შეამოწმა. დადგინდა, რომ მაცაბერიძე, რომელიც თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მთავარ ინჟინრად მუშაობდა, მართებულად არის მსჯავრდადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო საკუთრების დატაცებაში და სხვა დანაშაულებში მონაწილეობისათვის. თავის საჩივარში მაცაბერიძე აცხადებს, რომ მისთვის მსჯავრის დადება არაობიექტური წინასწარი და სასამართლო ძიების შედეგია. ამას დამაჯერებლად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან მაცაბერიძის დანაშაული სასამართლომ საქმის გამო მოპოვებული და სასამართლოს სხდომაზე შემოწმებული მტკიცებულებებით დაასაბუთა. სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გამოძიებისას სხვადასხვა პირთა ჩვენებანი სწორი იყო, და ეს დაადასტურა ფაბრიკაში მნიშვნელოვანი ოდენობით აღურიცხავი ნაწარმის აღმოჩენის ფაქტმა. ასეთი ნაწარმი აღმოჩნდა საქართველოს სსრ და მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო საწარმოებში, რაც თავად დანაშაულის მონაწილეებმა მიუთითეს.

ყოველივე ამის გამო მაცაბერიძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სსრკ უზენაესი სასამართლოს ამ არაობიექტურ პასუხში ნათქვამია, თითქოს მაცაბერიძეს, რომელიც თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მთავარ ინჟინრად მუშაობდა, მონაწილეობა მიეღოს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებაში და სხვა დანაშაულებაში.

ეს რომ აბსურდულია, აშკარად ჩანს იმით, რომ მსჯავრი დამდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით — 160, 186 II ნაწილით; 191; 229-ის II ნაწილი და 96¹.

ყველა ეს მუხლი სრულიად არაობიექტურად შემიფარდეს და ვერც წინასწარმა გამოძიებამ, ვერც სასამართლო ძიებამ ვერ დაამტკიცა ამის მართებულება.

წინასწარი ძიების დროს რომ ირღვეოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული ნორმები, ამას უდავოდ ამტკიცებს ასეთი მასალები:

ჩემი, როგორც „ყალბი ფულის მკეთებლის" უკანონო დაპატიმრება;

ჩემი დაპატიმრების მეთვრამეტე დღეს გამოგონილი ბრალდებების — «თაღლითობის» და „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების" დაბრალება, რაც წინასწარი ძიების დროს არ დადასტურებულა და ამ მუხლებით ბრალდებანი არაობიექტურმა გამომძიებლებმაც კი მოხსნეს.

წინასწარი „ძიების" მთელ პერიოდში ბრალდებულთა მიმართ გამოიყენებოდა მუქარა, წვალება, ცემა, დასხივება; და ამ გზით ცდილობდნენ გამომძიებლები ჩემთვის ცრუ ჩვენებანი ეთქმევინებინათ.

დაკითხვების, პირში წაყენების, დადგენილების გაცნობისა და ექსპერტების დასკვნების თაობაზე ოქმებს აყალბებდნენ და განზრახ ამახინჯებდნენ.

სასამართლო ძიების არაობიექტურობაზე მეტყველებს ყოვლად უდავო ფაქტები: სასამართლო კოლეგია მალავდა ჭეშმარიტებას, მალავდა პროვოკაციების, ცილისწამების ფაქტებს, არ განიხილავდა თხოვნასა და შუამდგომლობას, დაპატიმრებით ემუქრებოდა მოწმეებს და არაფერს ღონობდა იმ გამომძიებელთა წინააღმდეგ, რომლებმაც აწამეს და სცემეს მოწმეებს. ყოველივე ამის თაობაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი;

თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის მნე, ამჟამად მსჯავრდადებული ნასხლეტაშვილი და ამავე ფაბრიკის № 1 საამქროს უფროსი, ამჟამად მსჯავრდადებული თარონიშვილი — სიკვდილის სასჯელით დაშინებული ეს დამნაშავენი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ საკუთარი სასჯელი შეემსუბუქებინათ, წინასწარმა და სასამართლო ძიებამ იარაღად გამოიყენა უდანაშაულო მოქალაქეთა წინააღმდეგ.

ამას ისიც ადასტურებს, რომ სანამ გამომძიებლები ნასხლეტაშვილს დაიყოლიებდნენ, გამომძიებლის კითხვაზე მან უპასუხა: „ჩვენს საქმეებზე ფაბრიკის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა და მისთვის ფული არ გვიძლევია".

შემდეგ, როცა ნასხლეტაშვილი დააშინეს, დაიყოლიეს და შეღავათიანი მუხლების შეფარდებას დაჰპირდნენ, მან გამომძიებლების მითითებითა და კარნახით შეცვალა თავისი ჩვენებანი და ეს შეცვლილი ჩვენებანი სასამართლოს სხდომაზე გაიმეორა.

წინასწარი და სასამართლო ძიება განზრახ ცალმხრივი და ნაკლოვანი იყო. სისხლის სამართლის საქმეს ძირითადად ორი დაშინებული და დაყოლიებული დამნაშავის თარონიშვილისა და ნასხლეტაშვილის ყალბ ჩვენებებზე აგებდნენ.

სსრკ უზენაესი სასამართლოს არაობიექტურ პასუხში ნათქვამია, რომ მსჯავრდადებულთა და მოწმეთა ერთი ნაწილის ჩვენების ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ პირთა ჩვენებანი ძიებისას ცალმხრივი იყო, რადგან დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივი გარემოებანი დადასტურდა ფაბრიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობით აღურიცხავი ნაწარმის აღმოჩენის ფაქტით.

ეს მტკიცება თავხედურია და მტკნარი სიცრუეა. საოცარია, რას ეფუძნება ამ თავხედური და უსირცხვილო სიცრუის შემთხზველი, როცა ამტკიცებს, თითქოს მოწმეებმა და მსჯავრდადებულებმა ამხილეს მაცაბერიძე, შემდეგ კი სასამართლოს სხდომაზე შეცვალეს ეს ჩვენებანი? წინასწარ და სასამართლო ძიებაზე ყველა მოწმე და მსჯავრდადებული ამბობდა, რომ მე საერთო არა მქონია რა შეთითხნილ ბრალდებებთან, გარდა ორი დაშინებული და დაყოლიებული დამნაშავისა — თარონიშვილისა და ნასხლეტაშვილისა;

თანაც, თავისთავად წამოიჭრება კითხვა: თუ მოწმეებმა წინასწარი ძიებისას იძულების გარეშე მისცეს ჩვენებანი, მაშ რატომღა სცემეს, რატომ აწვალეს, დააშინეს, რატომ მოატყუეს და დააპატიმრეს? და ყველამ — 82-მავე მოწმემ რატომ შეცვალა ჩვენებანი სასამართლოს სხდომაზე?

ძალადობის ფაქტები უდავოა.

არ შემიძლია არა ვთქვა ისიც, რომ ჩვენი საქმის წარმოებისას შეგნებულად ირღვეოდა კონსტიტუციური გარანტიები.

ჩემი 1976 წლის 21 აპრილის საჩივრის პასუხად მე გამაცნეს სსრკ უზენაესი სასამართლოს წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან მისულ საჩივართან დაკავშირებით მაცაბერიძეს გამოუცხადონ, რომ მისი ანალოგიური საჩივარი სსრკ უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ განიხილა და არ დააკმაყოფილა.

ჩემს უამრავ საჩივარში, კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე, მე ვთხოვდი მოეცათ ჩემთვის დაცვის განხორციელების უფლება; გადმოეცათ განაჩენის პირი და გაეცნო ჩემთვის სასამართლოს სხდომის ოქმი; გამოეძიებინათ ჩემი უკანონო დაპატიმრება, როგორც კონსტიტუციური გარანტიის — «პიროვნების ხელშეუხებლობის» დარღვევა და ჩემთვის უკანონო მსჯავრდადება; გამოეძიებინათ წინასწარი და სასამართლო ძიების წინასწარგანზრახული ცალმხრივობა და უსრულობა; გამოეძიებინათ ჩემთვის განაჩენის პირის მოცემაზე უარის მიზეზები და ა. შ. სასამართლო-საპროკურორო ორგანოების დანაშაულებრივ-ბიუროკრატიული წერილების ავტორები მხედველობაში არ იღებენ ჩემს კანონიერ თხოვნასა და მოთხოვნას, და ერთი კალმის მოსმით საეჭვოს ხდიან სასამართლო-საპროკურორო ორგანოების ობიექტურობას და მათს სასაცილო „სამართლიანობას".

და კვლავ დგება საკითხი: რატომ არის, რომ ყოვლად უსირცხვილო პასუხების შემთხზველი ავტორები სასამართლო-საპროკურორო ორგანოებიდან თვალს ხუჭავენ და არ სურთ დაინახონ კანონის დარღვევის აშკარა ფაქტები და მფარველობენ დიდი თანამდებობის პრივილეგირებულ პირებს?

მოწმეებისა და „ბრალდებულების" დაპატიმრებანი, წვალება, ცემა, მათი ჩვენებანი, მოსკოველ ექსპერტთა სასამართლო-სამედიცინო დასკვნები, განა დამაჯერებელი საბუთი არ არის?

ამრიგად შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის დაპატიმრება და მსჯავრის დადება, თავისუფლების აღკვეთის გამონაკლისი ღონისძიება კი არა, ჩვეულებრივი ამბავია: მოწმეს აპატიმრებენ, აწვალებენ, სცემენ და აიძულებენ ცრუ ჩვენებანი მისცენ.

აი, ამგვარი უსუსური საბუთებისა და მტკიცებულებების ნიადაგზე მოგვისაჯეს 48 კაცს სხვადასხვა ვადის პატიმრობა.

15-15 წელი მიესაჯა შალვა ჭეიშვილს, გიორგი მაცაბერიძეს, გრიგოლ ბაღდასაროვს, ოთარ ლაზიშვილს; 12-12 წელი —მოსე მეგრელიშვილს და რევაზ ჩიგოგიძეს; 10-10 წელი გრიგოლ მენაბდეს, ტატიანა სამყურაშვილს, შალვა სულავას, ცოტნე კუპრაძეს, სერგო არუთინოვს, სვიმონ ჩიჯავაძეს, სვიმონ ბენიაშვილს, ბორის ბზეკალავას, გურამ შალიბაშვილს; 3-დან 7 წლამდე პატიმრობით დაისაჯნენ: ლამარა ახალაძე, მამასტო ქევლიშვილი, ლიუბოვ კაზანცევა, ლომარი გაბრიჩიძე, ამალია კაზარიანი, სერგო ახნაზაროვი, იზოლდა ესომაშვილი, გიორგი დავითაშვილი, დავით ტაროპიშვილი, აბნელ ნასხლეტაშვილი, ზაქრო გორელოვი, სარქის არუთინოვი, მოსე ბინიაშვილი, ვახუშტი ფავლენიშვილი, გურამ გურგენიძე, აბრამ ცაკიაშვილი, გიორგი ხაპროვი, ოთარ გოგუაძე, რობერტ ბროკინაშვილი, ლალი ქუთათელაძე, ქეთევან რობაქიძე, ლევან რაფალსკი, როზალია გრებენშიკოვა, ნიკოლოზ ამირანაშვილი, ვლადიმერ მანუკიანი, ანზორ ცქიტიშვილი, რევაზ ქაჯაია, ომარ ჯალალანიძე; კოტილა მამუჩაძე, მიხეილ უმიკაშვილი, ზაურ მერკვილაძე, რომან სალოღაშვილი და ზურაბ ანთაძე.

ასე დამთავრდა ეს სასამართლო ფარსი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა სინამდვილეში სასამართლო მხოლოდ უსამართლობის ნიღაბი იყო და ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავიანთი მზაკვრული მიზნებისათვის იყენებდნენ მას.

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" №№ 202, 203, 206, 217-218, 219, 222, 223-224, 226, 229, 230-231-232, 234.**

## საზღვარგარეთ

# კავკასიონის ცხელი წერტილი

**დაძაბული** ვითარებაა კავკასიონის ზოგიერთ ნაწილში. მოსკოვში ე. წ. სახელმწიფო საბჭოში გორბაჩოვის, შევარდნაძისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მაღალთანამდებობის პირების მონაწილეობით ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები. ლევონ ტერ-პეტროსიანი და აიაზ მუთალიბოვი. ორ რესპუბლიკას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც ყარაბაღში კატასტროფა განიცადა შვეულმფრენმა, რომელშიც აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის დელეგაციები იმყოფებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ტერორიზმის აქტში დაადანაშაულა და უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე გააუქმა ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, სახელი შეუცვალა მას და მის დედაქალაქს. სახელმწიფო საბჭოზე შეხვედრის შემდეგ გამოიცა დოკუმენტი, რომელიც აზერბაიჯანს მოუწოდებს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება ყარაბაღის შესახებ და შეიქმნას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნეიტრალური ზოლი. მიუხედავად ამ დოკუმენტის მოწოდებისა, ორივე რესპუბლიკაში განხორციელდა მობილიზაცია და ისინი ძალიან ახლოს მივიდნენ ომთან. უკანასკნელ პრესკონფერენციაზე მუთალიბოვმა თქვა ყარაბაღში მყოფი საკავშირო შინაგანი ჯარები უნდა გაიყვანონო და სურვილი გამოთქვა საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნისა. ასეა თუ ისე, კავკასიის ომი რეალობაა და მას დიდი ყურადღებით უყურებენ მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში ირანსა და თურქეთში. არ არის გამორიცხული, რომ ეს ომი, თუ იგი დაიწყო, ორი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდეს.

შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მოუწოდა სომხეთსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებას თავი შეიკავონ ომისაგან, რადგან მისი მომავალი ურთიერთობა ამ რესპუბლიკებთან დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სცნობენ ისინი ამჟამად არსებულ საზღვრებს. მოპირდაპირე მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდა და კიდევ ერთხელ შუამავლის როლი შესთავაზა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. საქართველოს თავისი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდგომარეობით შეუძლია ამ როლის შესრულება.

რთული ვითარებაა კავკასიონის სხვა რეგიონში, კერძოდ ჩეჩნეთში. ეს რესპუბლიკა სხვადასხვა დასახელების საბჭოთა ჯარებით არის გარშემორტყმული. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა გენერალმა დუდაევმა ჩრდილოეთ კავკასიონის ხალხებს მოუწოდა ხელი შეუწყონ მის მცდელობას რეგიონიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის თაობაზე. რადიო „თავისუფლების" ცნობით გროზნოში ჩამოდიან ჩეჩნური წარმოშობის საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცრები, რომლებიც ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების ფორმირებას ახორციელებენ. რადიო იუწყება, რომ გროზნოს მახლობლად სამხედრო აეროდრომზე დაიწყეს ჩეჩენი „კამიკაძეების" მომზადება, რომლებმაც რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევაში სიცოცხლის ფასად უნდა დააზიანონ მოწინააღმდეგის მიწის ზედა ბაზირების სამხედრო ტექნიკა.

# შობა—ახალწლამდე ცნობენ

**ფედერალური** მთავრობა აპირებს ცნოს ხორვატიისა და სლოვენიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ საშობაო დღესასწაულებამდე, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ბუნდესტაგში მიმდინარე დებატების დროს. ამ ნაბიჯს, დასძინა მან, ბონი გადადგამს იმ შემთხვევაშიც, თუნდაც არ დაეთანხმოს ევროპის გაერთიანების წევრი ყველა სახელმწიფო.

ვიმედოვნებ, თქვა კოლმა, რომ ევროპის გაერთიანების ქვეყნების უმრავლესობა დიპლომატიურად ცნობს იუგოსლავიის იმ რესპუბლიკებს, რომლებსაც სურთ დამოუკიდებელი გახდნენ. ამ საკითხის გადაწყვეტა დიდი ხნით არ უნდა გადაიდოს. კანცლერმა გამოთქვა რწმენა, რომ ევროპის საბჭოს მაასტრიხტის სესიას, რომელიც დეკემბრის დამდეგს უნდა გაიმართოს უმაღლეს დონეზე, და საშობაო დღესასწაულებს შორის პერიოდში ევროპის გაერთიანებაში პარტნიორები გააკეთებენ განცხადებებს იუგოსლავიის რესპუბლიკების ცნობის შესახებ.

გერმანიის კაბინეტის მეთაურმა კვლავ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ბუნდესვერის სამხედრო მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღონ იუგოსლავიაში მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ძალებში. როგორც მან აღნიშნა, ევროპაში არის ზოგიერთი რეგიონი, სადაც შეუძლებელია გერმანელი ჯარისკაცების ყოფნა. ასეთ რეგიონებს მიეკუთვნება იუგოსლავიაც. ამიტომ ამ აქციაში ბუნდესვერის მონაწილეობაზე უარის თქმა, ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა, უნდა მივიჩნიოთ, როგორც „პოლიტიკური გონიერების აქტი".

# უკრაინა რეფერენდუმის წინ

**ჩვენ** უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ უკრაინაში 1 დეკემბერს დანიშნულ რეფერენდუმს დიდი გამოხმაურება აქვს. დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა თვით უკრაინაშიც, რადგან ახლა ამ დიდი რესპუბლიკის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, არა მარტო საკუთარი დამოუკიდებლობა, არამედ გარკვეულად იმ რესპუბლიკების თავისუფლებაც, რომლებიც საბჭოთა იმპერიაში შედიოდნენ. ახლახან შევიტყვეთ, რომ ყოფილ კომუნისტ ფუნქციონერზე, ამჟამად კი უკრაინის პრემიერზე ლეონიდ კრავჩუკზე, ხარკოვში თავდასხმა მოაწყეს. უცნობ პირს დანით მისი მოკვლა სურდა, მაგრამ კრავჩუკამდე ვერ მიაღწია. შეხლა-შემოხლის დროს დაიჭრა კრავჩუკის მცველი. ხარკოვში უფრო რუსული ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. ლეონიდ კრავჩუკი დღეს უკრაინის დამოუკიდებლობის აქტიური მომხრეა და შესაძლოა მისი პოზიცია უკრაინაში მცხოვრებ რომელიმე რუსულენოვან მოქალაქეს არ მოეწონა.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ბრიფინგზე მის ოფიციალურ წარმომადგენელს მარგარეტ ტატუეილერს უკრაინაში დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის დანიშნულ რეფერენდუმთან დაკავშირებით ჰკითხეს: „ცნობს თუ არა დაუყოვნებლივ შეერთებული შტატები უკრაინის დამოუკიდებლობას? „ნაადრევი იქნებოდა თუ დღეს მე ვილაპარაკებდი შეერთებული შტატების პოლიტიკაზე და მის პოზიციაზე მანამდე, სანამ პირველ დეკემბერს რეფერენდუმი არ ჩატარდება" უპასუხა ტატუეილერმა. ჟურნალისტებს აინტერესებდათ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრებს, მას მერე რაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ძველინდებურად მუდმივად თვლის, თუ რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლება აქვს"? „მე თქვენ შეგახსენებდით სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ხუთ პრინციპს, რომელთაგან მეორე თუ მესამე საზღვრებს ეხება. ასეთია ჩვენი პოზიცია", უპასუხა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, რომ ჯეიმს ბეიკერმა ამა წლის 11 სექტემბერს მოსკოვში ე. წ. ადამიანთა განზომილების კონფერენციაზე ჩამოაყალიბა ხუთი პრინციპი, რომლებიც საბჭოთა კავშირში შემავალმა ხალხებმა უნდა იცოდნენ. მან აღნიშნა, რომ ახლადშექმნილმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ უკვე არსებულ შინაგან და გარეშე საზღვრებს. საზღვრების ნებისმიერი შეცვლა, ხაზი გაუსვა ბეიკერმა, უნდა მოხდეს კანონის დაცვით მშვიდობიანად, რადგან მათი ძალით შეცვლა არის „უკანონობა, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპის თანამეგობრობის პრინციპებს".

# რამდენიმე სტრიქონით

**ბონში** ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის პრემიერი ჯონ მეიჯორი და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი. ადრე მეიჯორი რომში თავის იტალიელ კოლეგას ჯულიო ანდრეოტის შეხვდა. ამ შეხვედრების მიზანია მომავალ თვეს ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში დანიშნულ ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების კონფერენციაზე საერთო პლატფორმის შემუშავება. კონფერენციაზე ხელი უნდა მოაწერონ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელშეკრულებას, შექმნან საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც გადაეცემა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო ფუნქცია. გერმანია და საფრანგეთი ამ იდეის აქტიური გამტარებლები არიან. ინგლისი კი გარკვეულად თავს იკავებს. კანცლერი კოლი თვლის რომ შეთანხმების გაჭიანურება თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ცხოვრების დონეს დააქვეითებსო.

**შეერთებული** შტატების სანაპირო დაცვის გენერალმა კრამეკმა ფლორიდაში ყოფნის დროს განაცხადა, რომ ლტოლვილთა რიცხვმა ჰაიტიდან ძალიან იმატა და რაიმე უნდა ვიღონოთ. რამდენიმე ხნის წინათ ჰაიტზე მორიგი სამხედრო გადატრიალება მოხდა, რომლის დროსაც დაამხეს დემოკრატიული წესით არჩეული არისტიდის მთავრობა.

**სრულ** მზადყოფნაშია მანილის პოლიცია. რამდენიმე დღის წინათ მანილის საპოლიციო უბანსა და არსენალს თავს დაესხნენ მეამბოხეები. ფილიპინების პრეზიდენტი კორასონ აკინო ხელისუფლების სათავეში, 1986 წელს მოვიდა, ამ დროის განმავლობაში ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების 6 მცდელობა იყო, ამავე დროს პროვინციებში ორი სერიოზული აჯანყებაც მოხდა.

**29 დეკემბერს** აზერბაიჯანში გაიმართება რეფერენდუმი რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის საკითხზე. ასე გადაწყვიტა უზენაესმა საბჭომ, რომელიც ეფუძნება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ კონსტიტუციურ აქტს. რეფერენდუმში კენჭისყრისათვის ბიულეტენში შეტანილია კითხვა: უჭერთ თუ არა მხარს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კონსტიტუციურ აქტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესახებ და პასუხების ვარიანტები — „დიახ" და „არა".

**გაზეთი** „ნიუ იორკ თაიმსი" იუწყება, რომ ამერიკელმა საბროკერო ფირმამ „მონტგომერი სეკიურიტიზმა"! პასუხისმგებლობა აიღო, რათა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაავრცელოს ამერიკული კომპანიების აქციები. გაზეთის ცნობით საბჭოთა ხალხს ხელზე აქვს როგორც მინიმუმ 19 მილიარდი დოლარის ღირებულების მტკიცე ვალუტა, რომლის დაბანდებაც ქვეყანაში არსებული არასტაბილური ვითარების გამო შეუძლებელია, ამერიკის 8 ყველაზე უფრო ძლიერი კომპანიები, მათ შორის „ბოინგი" „ამერიქენ თელიფონ ენდ თელეგრაფი" და სხვები, ჯერჯერობით თავს იკავებენ საბჭოთა კავშირში აქციების გაყიდვისაგან.

**გაეროს** ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ხორვატია-სერბეთის ომის დროს უკვე ნახევარი მილიონი ადამიანი ლტოლვილად იქცა. ეს მარტო მათი პრობლემა უკვე აღარ არის. ლტოლვილები იუგოსლავიას მასიურად ტოვებენ. ექსპერტთა აზრით ბრძოლებმა ტოტალური ხასიათი თუ მიიღო, ლტოლვილთა რიცხვმა შესაძლოა ორ მილიონს გადააჭარბოს.

**სომხეთის** საგარეო საქმეთა სამინისტრომ აზერბაიჯანის შესაბამის უწყებას შესთავაზა, რომ ორ რესპუბლიკას შორის არსებული საკონფლიქტო სიტუაცია პოლიტიკური მეთოდებით მოგვარდეს. სომხეთის მხარე ითხოვს, რათა ყარაბაღის მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდეს თვითონ აირჩიოს თავისი ხელმძღვანელობა.

**პოლონეთის** პრეზიდენტი ლეხ ვალენსა შეხვდა პარლამენტის დაჯგუფებების ხელმძღვანელებს, რათა ბოლოს და ბოლოს გადაჭრას გაჭიანურებული კრიზისი მთავრობის ხელმძღვანელის დანიშვნის თაობაზე. პოლონეთის პარლამენტის ხუთპარტიული კოალიცია მთავრობის მეთაურად იურისტ იან ოლშევსკის კანდიდატურას ასახელებს.

**ლიტვის** რადიო-ტელედეპარტამენტის სოციოლოგიურმა ჯგუფმა საზოგადოების გამოკითხვა ჩაატარა, თუ ვინ არის მსოფლიოს ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე. 200 ბალიანი სკალით პირველ ადგილზე 100 ქულით გავიდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. 66 ქულა მოაგროვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. მესამე ადგილზეა გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, 47 ქულა. მეოთხე ადგილზეა ინგლისის პრემიერი ჯონ მეიჯორი, 40 ქულა. მეიჯორის მაღალი რეიტინგი ლიტველთა შორის განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა ლიტვას გადასცეს ის ოქრო, რომელიც ბრიტანეთის ბანკებს შესანახად გადასცა ამ 50 წლის წინათ ლიტვის სახელმწიფომ. მეხუთე ადგილზეა ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი. შემდეგ ადგილზე არიან პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ ვალენსა. უკანასკნელ მე-10 ადგილზეა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, რომლის რეიტინგი ოდნავ აცილდა ნულოვან დანაყოფს.

**იუგოსლავიის** საკითხი ერთ-ერთი ურთულესი იქნება ევროპის გაერთიანებებში 1992 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პორტუგალიის თავმჯდომარეობის პერიოდში. ეს განაცხადა პორტუგალიის დედაქალაქში პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟუან დი დეუშ პინეირუმ აქ ვიზიტად მყოფ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან გეზა ესენსკისთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

პორტუგალიის დიპლომატიის მეთაურმა „პოზიტიური სიგნალი" უწოდა კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თანხმობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების მონაწილეობაზე, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ არის მრავალი დიდმნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც უნდა გადაწყდეს მანამ, სანამ „ცისფერი ჩაჩქნები" გაიგზავნება იუგოსლავიაში.

პორტუგალიელი მინისტრი შეეხო ევროპის გაერთიანებაში უნგრეთის შესვლის შესაძლებლობის საკითხს და აღიარა, რომ მაასტრიხტის შეხვედრაზე, შესაძლებელია, განიხილონ „საერთო ბაზრის" გაფართოების საკითხი. როგორც მან თქვა, ევროპის გაერთიანებამ უნდა შეიმუშაოს ევროპის გაერთიანების საგარეო ურთიერთობის საერთო სტრატეგია არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ფარგლებში.

## მრუდე სარკეში

# მხოლოდ ღვარძლი

**„ნეზავისიმაია გაზეტას"** 26 ნოემბრის ნომერში საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა წარმოდგენილია საკავშირო მკითხველისთვის ორი ავტორის — ნოდარ ბროლაძისა და მიხეილ თავხელიძის წერილებით. პირველში მოყვანილია ადგილები ტელეპროგრამა „პრეზიდენტის საათი" გამოსული ბატონ ზვიად გამსახურდიას გამონათქვამებიდან: „ქვეყნისთვის, რომელიც ომის მდგომარეობაშია, როგორც ჩვენ, ოპოზიცია დამღუპველია". ამ აზრს აღრმავებს შემდეგი ნათქვამი: „ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებისთვის იბრძვის თოფით ხელში და ამასთან პირდაპირ კავშირშია მტერთან, მოქმედებს ამ მტრის ინსტრუქციით, ოპოზიციად არ ჩაითვლება".

ხომ სრული ჭეშმარიტებაა!

მაგრამ გაზეთი მკითხველს იქვე სთავაზობს: „გამსახურდია სხვა ახსნას იძლევა, ცვლის რა „ოპოზიციის" ცნებას „გამცემლობით" და „გამცემთა შეთქმულებით", და მისი კომენტარიც ასეთია: „პრეზიდენტმა განუმარტა ტელემაყურებელს, რომ საქართველოში არსებობს არა ოპოზიცია, არამედ დაჯგუფება კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით", და მერე ასეთნაირად ციტირებულია პრეზიდენტის სიტყვა: „...ყველაფერ ამას ჰქვია სახელმწიფოს ღალატი, გამცემლობა, ოპოზიციას, მოქმედს ჩვენებისნაირად, ნებისმიერ ქვეყანაში ეძლევა შესაბამისი იურიდიული კვალიფიკაცია".

„გამსახურდია გამოვიდა მოწოდებით გვარდიელებისადმი, რომლებიც არ ემორჩილებიან ოფიციალურ ხელისუფლებას, — განაგრძობს გაზეთი, — ჩააბარონ იარაღი და გადავიდნენ სამთავრობო სტრუქტურის განკარგულებაში. გამსახურდია ხედავს სერიოზულ საშიშროებას, — ასკვნის ავტორი გაზეთში, — „თბილისის ზღვაზე პუტჩისტების შეიარაღებული სამხედრო ბანაკის არსებობაში". უფრო მეტიც, — არწმუნებს მკითხველს ავტორი, — მას სჯერა, რომ ოპოზიციასა და სამხედრო ბანაკს აფინანსებს და იარაღით ამარაგებს მაფია, კომუნისტური რეჟიმის ეს მემკვიდრე. მასთან უშუალო ურთიერთობა აქვთ მოსკოვს და კრემლის აგენტურას. „ასე თვლის პრეზიდენტი, — წერს ავტორი, — და მის ამ რწმენას იზიარებენ მისი მომხრენი, დარწმუნებულნი, რომ რესპუბლიკაში მდგომარეობის გამწვავების მონაწილეა თვით ედუარდ შევარდნაძე, რომელიც, მათი აზრით, „დაინტერესებულია ოპოზიციის მხარდაჭერით".

„შეიარაღებული ბანაკი თბილისის ხელოვნური წყალსაცავის ნაპირზე, — არ ნელდება ღვარძლი წერილისა, — „ყელში გაჩხერილ ძვლად" რჩება ხელისუფლებისთვის, რომელიც „ზღვიდან საშიშროების" საბაბით ცდილობს გაგზავნოს შინაგან საქმეთა ქვედანაყოფები და პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიის ნაწილი სამაჩაბლოში".

გაზეთი კიდევ უფრო შორს მიდის პრეზიდენტისადმი ღვარძლის გადმონთხევაში მეორე ავტორის ნაწერით: „მოძრაობა „დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველოს" წევრთა კრებამ მიიღო განცხადება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისამართით. მასში გამოთქმულია პროტესტი ხელისუფალთა მოქმედების გამო პოლიტიკური ოპოზიციისა და სხვაგვარად მოაზროვნე ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში". „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ოფიციალურ პირთა გამოსვლებში იქმნება უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი ოპოზიციის მიმართ. არის წამოძახილები — გაუსწორდნენ ამ „ფსევდოოპოზიციას" და „კრიმინალურ ინტელიგენციას". ისიც არის აღნიშნული, თითქოს მოძრაობის რამდენიმე წევრი გაათავისუფლეს სამუშაოდან პოლიტიკური მოტივებით (!).

რაღა შორს წავიდეთ, აღნიშნულ პუბლიკაციებში მოყვანილი ციტატებიდაც კი კარგად ჩანს, თუ რა უარყოფითად არის განწყობილი „ნეზავისიმაია გაზეტა" საქართველოსა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ. ისე კი წერილების პატივცემულ ავტორებს (და რედაქციასაც!) უნდა შევახსენოთ, რომ ნებისმიერი მთავრობისთვისაა საშიში პუტჩისტების შეიარაღებული სამხედრო ბანაკის არსებობა (გავიხსენოთ, რა ამბავი ატეხეს თვითონ რუსებმა მოსკოვის პუტჩის პერიოდში?!) აქვე დავძენთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ოფიციალურ პირთა გამოსვლებით კი არ შეიქმნა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი ოპოზიციის მიმართ, არამედ თვით ოპოზიციის არასამართლებრივი მოქმედებით.

# პირდაპირი დამიზნებით

**რაღაც** საზეიმო, ამაღლებული ტონით, თითქოს გამოსაჯავრებლადო, იუწყება „კრასნაია ზვეზდა" თავისი თბილისელი კორესპონდენტის მოწერილ მეტად შემაძრწუნებელ შიშველ ფაქტზე:

თურმე 27 ნოემბერს დილის 3 საათზე შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შეიჭრა თბილისის ცენტრის ახლოს განლაგებული სარემონტო სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, როგორც ოლქის შტაბის ოპერატიული მორიგე პოლკოვნიკი ვ. ლობაჩი იტყობინება, დამცემთაგან ზოგმა გასწია ავტოპარკში, სხვები შევარდნენ სასამსახურო შენობებში, რომელთაგან ერთში ცხოვრობდა მაიორი ვ. ბერილოვი მეუღლითურთ. დამცემებმა პირდაპირი დამიზნებით ავტომატის ცეცხლით დახვრიტეს ოფიცერი. ბანდიტებმა გაიტაცეს 9 ავტომანქანა".

მაინც ვინ იყვნენ უსულგულო, მკვლელი დამცემნი? — ამაზე გაზეთი დუმს, მკითხველს კი საგონებელში აგდებს.

# რამდენიმე ეპიზოდი გალაკტიონის ცხოვრებიდან

**1959 წლის** მარტი ავადმოსაგონარ ფურცლად შევიდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიაში. საქართველოს თითქმის ერთდროულად გამოეცალა ორი თვალსაჩინო შვილი: შალვა დადიანი და გალაკტიონ ტაბიძე... პირველი 85 წლისა იყო, მეორეს 68 არ შესრულებოდა. ბევრი რამ ჰქონდათ საერთო მხატვრული სიტყვის ამ ოსტატებს.

ტოტალიტარული ბოლშევიკური სისტემა დიდად ზღუდავდა მათ თავისუფლებისმოყვარე სულს, თვითგამოხატვის დაუოკებელ წყურვილს, შალვა დადიანი არაერთხელ გაუტარებიათ უმოწყალო კრიტიკის ქარ-ცეცხლში პარტიულ ფორუმებზე თუ მწერალთა კრებებზე. ბევრი გადახდა გალაკტიონსაც. ადამიანებთან ურთიერთობაში გალაკტიონი განსაკუთრებით აფასებდა ერთგულებასა და გულწრფელობას. სწორედ ასეთებად მიაჩნდა შალვა დადიანი და კონსტანტინე გამსახურდია, ამიტომაც ენდობოდა და მეგობრობდა მათთან.

ჯერ კიდევ ბევრი უცნობი ფურცელია აღმოსაკითხი ამ გენიოსის ბიოგრაფიაში. ეს არის მიზეზი, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ფაქტს. ამ მხრივ ბევრი აქვს მოსაგონარი გალაკტიონის მეუღლეს ნინო კვირიკაძეს, რომელმაც 16 წელიწადი გაატარა პოეტის გვერდით. დღეს ქალბატონი ნინო ორიოდე ეპიზოდს იხსენებს.

— 7-8 თვის მანძილზე, — გვიამბობს ნინო კვირიკაძე, — გალაკტიონი ზომიერ, მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა, სხვა დროს კი მძიმე სულიერი მდგომარეობის ტყვეობაში იყო. შეუპოვრად ებრძოდა საკუთარ თავს, იმედს არ კარგავდა, რომ დაძლევდა... რა გახდა ასეთი ძლიერი სტრესის ბიძგი? ალბათ ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის, ძნელია ვიმსჯელოთ, რას გრძნობდა, რას განიცდიდა იგი... ზოგჯერ უმნიშვნელო ფაქტსაც კი შეიძლებოდა კორექტივები შეეტანა მის ბობოქარ, ბავშვურ ხასიათში. დილით ყოველთვის უთენია დგებოდა, ხუმრობდა, ადამიანმა ნახევარი ცხოვრება ძილში არ უნდა დაკარგოსო, ფანჯარასთან მიდიოდა და დიდხანს შესცქეროდა ცას.

იმ დილით უხვად ბარდნიდა. გალაკტიონმა ეს რომ დაინახა, ბავშვურმა სიხარულმა გაუნათა სახე. მაშინვე ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. ძალზე უყვარდა თოვლიან ამინდში სეირნობა. ორიოდე საათში დაბრუნდა. როგორც კი შემოვიდა, მყისვე ვიგრძენი — რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო, ხელები უკანკალებდა. არაფრისმთქმელი, მკვდარი გამოხედვა ჰქონდა. ასეთ წუთებში იგი კითხვებს გაურბოდა. არაფერი შევიმჩნიე და ოთახიდან გავედი. მალე თვითონ დამიძახა, საშინლად მტკივაო თავი, შემომჩივლა. წამოწექი-მეთქი, მაგრამ არ მოისურვა, როგორც ყოველთვის, ოთახში ბოლთის ცემას შეუდგა.

— ცარიელ ქუჩებში დავაბიჯებდი, — წამოიწყო მან — უცებ მომინდა ილია ჭავჭავაძის სახლისთვის შემეხედა, მივუახლოვდი და ხეს მივეყრდენი. არავითარი დამამძიმებელი აზრი არ მიტრიალებდა თავში. ქათქათა თოვლი უჩვეულოდ ბზინავდა, თითქოს, პატარ-პატარა ვარსკვლავები ხტიანო. ძალიან მშვიდად ვგრძნობდი თავს... ანაზდად ქუჩის მყუდროება საშინელმა ყვირილმა დაარღვია, მოვიხედე და საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ დაჯახა მანქანა ქალს, ქათქათა თოვლზე სისხლის კვალი გაჩნდა.. არა, ბედისწერას ვერ გადაურჩები, არაფრის იმედი არ უნდა გქონდეს. იგი მუდამ ჩემს გვერდით არის. ვცდილობ, ჩამოვიშორო, მაგრამ დროებით გაყუჩებული თავის საათს ელოდება...

ძნელი გასაგები იყო, რა ხდებოდა გალაკტიონის სულში. ეს ეპიზოდი კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა. მას მობილიზებული პოეტური აზროვნება ჰქონდა, მაგრამ ხშირად ფანტაზიის წყალობით ცდილობდა არ შეემჩნია რეალური წინაღობები, ყველა პრობლემა პოეტურ ენაზე გადაეწყვიტა, ამიტომაც არაიშვიათად მარცხდებოდა...

დღენიადაგ ლიტერატურულ საღამოებზე ოცნებობდა, გამუდმებით სურდა ადამიანებთან ცოცხალი კონტაქტი. და აი, ჩაიფიქრა კიდეც თემატური საღამოების ციკლი. დიდხანს გულმოდგინედ ემზადებოდა: აფიშაც დაიბეჭდინა (დიდი წითელი ასოებით გამოაყვანინა მხოლოდ სახელი — გალაკტიონი). რატომღაც მწერალთა კავშირთან არ შეუთანხმებია ლიტერატურული საღამოს საკითხი. რატომღაც მოხდა ისე, რომ ხალხი არ მოვიდა, ურჩიეს საღამო სხვა დროისათვის გადაეტანა, მაგრამ მაინც გამოვიდა... თითქმის ცარიელი დარბაზის წინაშე. მძიმედ, უხმოდ განიცდიდა. მოგვიანებით შინაურთა წრეში თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „პოეტის მოსაკლავად ტყვია არ არის საჭირო. მას მოკლავს სიტყვა და იგივე გააცოცხლებს კიდეც".

— ერთხელ, ადრეულ გაზაფხულზე გალაკტიონი ადრიანად გავიდა სახლიდან. ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა მტკვარს და ასევე აუჩქარებლად შეაბიჯა მდინარეში. ამჯერად ღმერთმა არ გასწირა: შეამჩნიეს და გადაარჩინეს. სუნთქვაშეკრულმა მოირბინა ნუნუმ თავის მეგობარ ზეინაბ მუშკუდიანთან ერთად, ქალაქში უკვე ყველას პირზე ეკერა მომხდარი ამბავი. შინაურები ხმას ვერ ვიღებდით. მხოლოდ ნუნუ ლუღლუღებდა: „როგორ შევიდე მასთან პალატაში? რა ვუთხრა? ალბათ, არავის დანახვა არ სურს". მაგრამ მასთან შესვლა საჭირო იყო. და ნუნუ და ზეინაბი შევიდნენ კიდეც... გალაკტიონი თავის საყვარელ პოზაში იწვა — მარჯვენა ხელზე დაყრდნობილი. კარებთანვე შეაგება მათ ხარხარი: „სპორტსმენები მოვიდნენ სახალხო პოეტის სანახავად... ნახეთ, წლეულს მე გავხსენი სპორტული სეზონი, მაგრამ, როგორც ჩანს, უხეირო მცურავი გამოვდექი — საავადმყოფოს საწოლზე მოვხვდი". ატმოსფერო მყისვე განიმუხტა. იგი მხიარული იყო და თავის ახალ წიგნზე გვიყვებოდა.

— არასოდეს დამავიწყდება, — განაგრძობს ქალბატონი ნინო, — მისი თითქოსდა სასხვათაშორისოდ ნათქვამი სიტყვები, რომლებიც სამუდამოდ ჩამრჩა გულში: „ნინო, იცი რად მოიკლა თავი მაიაკოვსკიმ? გამოფენა მოაწყო, რომელიც მის შემოქმედებითს გზას ასახავდა, — მნახველები კი არ შედიოდნენ, — ეტყობა მტრებმა სათანადოდ იმუშავეს. ქართულ მიწაწყალზე შობილმა, მემკვიდრეობით მიიღო ჩვენი წინაპრების ამაყი სული, ვერ გადაიტანა დამცირება, გატყდა... ალბათ, გაიფიქრა, რომ ჩემი პოეზია უკვე არავის სჭირდებაო".

გალაკტიონს ღვთისაგან ჰქონდა ნაბოძები ასეთი მგრძნობიარე სული. მისთვის ძალზე ძნელი იყო ცხოვრებისეული ბარიერების დაძლევა, ვერა და ვერ ისწავლა რეალურ ცხოვრებასთან ბრძოლა, იგი პოეტური ფანტაზიით შექმნილ სამყაროში ცხოვრობდა. ამიტომაც საკუთარ თავთან იმ ბოლო ხელჩართულ ბრძოლაში მიწიერმა გალაკტიონმა ვერ შეძლო დაემარცხებინა პოეტის ფანტასმაგორია.

სიცოცხლეში რა ეპითეტებს არ ხმარობდნენ პოეტის შესამკობად: „პოეტების მეფე", „პოეზიის მოცარტი", „ლირიკის ტიტანი".. ნახევარი საუკუნე რაინდულად ემსახურა პოეტურ მუზას, ხელი ჩამოჰკრა ბევრისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ სიმებს. და მაინც, მისი პოეტური ბედი ტრაგიკული იყო...

იგი შინაგანად მუდამ იმაღლებდა ხმას ტირანიის წინააღმდეგ. ამიტომაც აღტაცებით შეხვდა რევოლუციას, თვითმპყრობელობა რომ დაამხო. მაგრამ ბოლშევიკების გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა რევოლუციის სახე. პოეტი მალე მიხვდა, რომ არ გამართლდა ქართველი ხალხის იმედები, მისი ერთგული შვილები ტოვებდნენ სამშობლოს, დარჩენილებს ხვრეტდნენ ან აიძულებდნენ თვითონ მოეკლათ თავი, როგორც ეს მის საყვარელ პაოლო იაშვილს მოუვიდა.

არა! გალაკტიონს არ შეეძლო ეღიარებინა პარტია, რომელიც ხვრეტდა მის თანამოაზრეებს. არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტი მან თავისებურად გამოხატა, როგორც შეეძლო — არ შესულა პარტიის რიგებში, თუმცა ბევრს ურჩევდნენ, ზოგჯერ აიძულებდნენ კიდეც.

გალაკტიონს უსაზღვროდ სწამდა ახალგაზრდობისა, მასში ხედავდა მშობლიური საქართველოს მომავალს. ამიტომაც მუდამ გულწრფელი იყო მათთან. მახსოვს, ქალაქში რომ დავინახავდით, მყისვე მის შესახვედრად გავემართებოდით. როგორ გაუნათდებოდა სახე, ბავშვურად ხალასი და მხიარული. განუმეორებელი იუმორი ჰქონდა. ეს ყველამ ვიცოდით, ამიტომაც გაბედულად ვაჩერებდით მას. ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო, უბრალო, ადამიანის უსაზღვროდ მოყვარული. წავიდა და... სამუდამოდ დარჩა ჩვენს გულში.

**ლევან დოლიძე.**

# ილიას გზით...

**ახლა,** როცა ახალ სახელმწიფოს ვუყრით ბალავერს, ჩვენი მთავარი საზრუნავი აწ, როგორც არასდროს, ეროვნული ერთიანობის მიღწევაა, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ, უმალ საერთო მტერი გავიხსენოთ, იმდენად ძვირფასი და [illegible] რამაა ჩვენი მამულის თავისუფლება. ეროვნული ერთიანობის იდეამ თითოეულ ჩვენთაგანში ყველა ადამიანურ წუხილსა და ამბიციას უნდა გადასძლიოს.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში ქართული ხელოვნების მოღვაწეთა და მოყვარულთა დარბაზობა გაიმართა — „ერთობა ჩვენი ტახტია"... ქალაქ თბილისის ახალგაზრდული გაერთიანება „იბერიის" (გენერალური დირექტორი თევდორე გურგენიძე) თაოსნობით. ეს ღონისძიება საქველმოქმედო მიზანსაც ისახავდა, დარბაზობის სპონსორების მიერ გაღებული თანხები მოხმარდება ხეიბართა და უპატრონო მოხუცებულთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას.

მსახიობმა გიორგი ხარიძემ ისე წარმართა საღამო, რომ სცენასა და დარბაზს შორის ზღვარი არ იგრძნობოდა, უბრალოდ, დარბაზიდან სცენაზე იხმობდნენ ქართული ხელოვნების მოღვაწეთ. ზოგი მათგანი მხატვრული სიტყვით, ზოგიც უშუალოდ ამბობდა სათქმელს. მამულის ფიქის, სიყვარულის, ერთად ყოფნის, შერიგების, მიმტევებლობას ეძღვნებოდა მათ მიერ შერჩეული ქართველ მწერალთა ქმნილებები: ქეთევან ლონდიამ ნოდარ დუმბაძის წერილები წაიკითხა ილიასა და აკაკიზე, მერი მიქელაძემ კოლაუ ნადირაძის ლექსი „მე მიყვარს დილა", თამარ ხაინდრავამ ვაჟას და გალაკტიონის ზეციურ მადლს გვაზიარა, თინათინ ელბაქიძემ აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტიკა მოიხმო, მედეა ჯაფარიძემ ტიციან ტაბიძის ლექსით „მამ, გამარჯვება", მრავალთა გულისთქმა გამოხატა...

დარბაზობას ქართული კულტურის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი დაესწრო. აქ იყვნენ: ვახტანგ ტაბლიაშვილი, დუდუხანა წეროძე, დოდო ჭიჭინაძე, ნინა ტაბიძე, კახი კავსაძე, ოთარ კობერიძე, ლია ელიავა, მორის ფოცხიშვილი, სოლომონ ხუციშვილი, ვახტანგ გურგენიძე, გერონტი ქიქოძის ქალიშვილები — თინათინ და მანანა ქიქოძეები, ლადო ასათიანის მეუღლე ანიკო ვაჩნაძე და ქალიშვილი მანანა ასათიანი და სხვანი.

ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ? რით გაგახაროთ"? დარბაზობაზე არ წაუკითხავთ, მე კი შინ დაბრუნებისთანავე ილიას ტომი მოვძებნე და ამ წერილს დავადგი თვალი. საუკუნეა გასული მისი დაწერიდან, მაგრამ, აბა გონების თვალი მოვავლოთ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, განა დღესაც ასე არ არის (?!) — „ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი ავეიფარებია, არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის... ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?".

ალბათ მართლაც მხოლოდ ის გზა დაგვიხსნის ილია რომ მიგვითითებდა — პიროვნულზე მაღლა ეროვნული, საზოგადო ინტერესები დავაყენოთ..

**გიორგი ლალიაშვილი**

* * *

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

---

## ღვაწლი

# ლაშა ჯანაშიას გახსენება

**ქართველ** ერს მუდამ ჰყავდა თავისი ერისთვის დამაშვრალი მოღვაწენი, ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო მოამაგენი. ისინი მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე უხმაუროდ ემსახურებოდნენ არჩეულ საქმეს და სათანადო ადგილსაც იკავებდნენ მადლიერი ქართველი კაცის გულში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია. თავისი ხანმოკლე, მაგრამ ფრიად ნაყოფიერი სიცოცხლის მანძილზე იგი უანგაროდ ემსახურებოდა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეს.

ლაშა ჯანაშია დაიბადა თბილისში, სასიქადულო ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ოჯახში, 1931 წლის 18 ნოემბერს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე იწყება მისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. ახალგაზრდა მკვლევარის ნიჭი განსაკუთრებულად გამოვლინდა ისეთ ცნობილ ქართველოლოგიის ცენტრში, როგორიც გახლავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის ძველი ისტორიის განყოფილებაშიც დაიწყო მუშაობა ახლად ფეხადგმულმა მეცნიერმა. ლაშა ჯანაშიას სამეცნიერო ინტერესები ძირითადად მოიცავდა IV-V საუკუნეების საქართველოს ისტორიასა და ძველი სომხეთის საისტორიო მწერლობას. მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე გამოკვლევა სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის ცნობებისა საქართველოს შესახებ, რომელსაც თან ერთვის ავტორისეული თარგმანი და მეცნიერული ანალიზი. არანაკლებ ცნობილია ბატონ ლაშას მეორე კაპიტალური ნაშრომი იაკობ ცურტაველზე და მის შუშანიკის წამებაზე.

ახალგაზრდა მეცნიერი დიდ სამეცნიერო მუშაობას კარგად უსადაგებდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ 1970-1982 წლებში მისი მოღვაწეობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც იგი დირექტორის მოადგილე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბატონი ლაშა გახლდათ საისტორიო საზოგადოების როგორც პრეზიდიუმის წევრი, ისე მისი სწავლული მდივანიც. მას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა ქართველ მწერლებთან.

ლაშა ჯანაშია ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიობაში ცნობილი იყო, როგორც უზადო ნიჭით დაჯილდოებული მაღალკვალიფიციური ლექტორი და სტუდენტი ახალგაზრდობის აღმზრდელი პედაგოგი. უნივერსიტეტის კედლებში მომავალ თაობას იგი უკითხავდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის ზოგად კურსსა და სპეცკურსებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მადლიერმა ქართულმა საზოგადოებრიობამ დამსახურებულად აღნიშნა ამაგდარი მეცნიერის ხსოვნა და დაუკავშირა იგი მის დაბადების დღეს — 18 ნოემბერს. ამ დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ასპირანტები, სტუდენტი ახალგაზრდობა. საღამოში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალეკო თავხელიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე, აკადემიკოსები ევგენი ხარაძე, გიორგი მელიქიშვილი, ელო მეტრეველი, ვახტანგ ბერიძე, ნოდარ ჯანბერიძე, ქეთევან ლომთათიძე, თამაზ გამყრელიძე, ჯუმბერ ლომინაძე, მწერალი თამაზ ჭილაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, თინათინ ყაუხჩიშვილი და სხვები.

ლაშა ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა მარიამ ლორთქიფანიძემ. დამსწრე საზოგადოებას ბატონი ლაშას მეცნიერული მოღვაწეობის, პედაგოგიური მუშაობის, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებისა და გულისხმიერების შესახებ მოუთხრეს უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მისმა მეგობარ-ახლობლებმა. მათ შორის პროფესორებმა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ, ნოდარ ასათიანმა, ღურმიშხან ცინცაძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ თოფურიამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ნანა ცაგარეიშვილმა და ჯუმბერ ოდიშელმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა თენგიზ თოდრიამ და სხვებმა.

საღამოზე აღინიშნა, რომ ლაშა ჯანაშიას დიდი შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ისეთ სასიქადულო ქართველ მამულიშვილებთან, როგორებიც იყვნენ კალისტრატე და ნინო სალიები. მათ მიერ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისადმი ნაანდერძევი მდიდარი ბიბლიოთეკის ჩამოტანის უშუალო ხელმძღვანელი და შემსრულებელი გახლდათ ლაშა ჯანაშია. დიდ სირთულეებთან დაკავშირებულ ამ ფრიად მამულიშვილურ საქმიანობას ბატონმა ლაშამ ბრწყინვალედ გაართვა თავი და თავის ქვეყანასაც და მომავალ თაობას უძვირფასესი საგანძური შესძინა.

ამ შესანიშნავი საღამოს მონაწილეთა ესოდენ გულთბილ გამოსვლებში ლაშა ჯანაშია წარმოგვიდგა, როგორც ფართო ერუდიციის, ღრმა განათლების მქონე ფრიად განსწავლული მკვლევარი, რომლის ხანმოკლე ცხოვრება მოღვაწეობის მანძილზე ქართულ მეცნიერებისა, მისი ქვეყნისა და ხალხის უანგარო და ერთგული სამსახური იყო. და რაოდენ დასანანია, რომ მას არ დასცალდა, სრულიად ახალგაზრდა, 51 წლის გარდაიცვალა და ბევრი განუხო რციელებელი იდეა დარჩა. მის ესოდენ უდროო გარდაცვალებ დიდი დანაკლისი იყო ქართულ საზოგადოებისა და განსაკუთრ ბით საისტორიო მეცნიერებისთ ვის.

ლაშა ჯანაშიას 60 წლისთავ სადმი მიძღვნილი ამ საღამოს მო წყობის უშუალო თაოსანი იყ ქართული საზოგადოებრიობისა ვის ისეთი ცნობილი ორგანიზაცი როგორიცაა ექვთიმე თაყაიშვილი სახელობის საქართველოს საი ტორიო საზოგადოება, აგრეთ სრულიად საქართველოს გიორ შარვაშიძის სახელობის საზოგად ება. საღამოს მოწყობაში დიდ წვლილი შეიტანეს ჩვენი სახ ლოვანი უნივერსიტეტის ისტორი ფაკულტეტის თანამშრომლებ და პირადად მისმა რექტორ პროფესორმა როინ მეტრეველ აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის ხელობის ისტორიისა და ეთნო რაფიის ინსტიტუტმა და კორნელ კეკელიძის სახელობის ხელნაწერ თა ინსტიტუტმა.

**ქეთევან კავლიაშვილ**

**ისტორიის მეცნიერებათა ნდიდატი, გიორგი შარვაშ ძის სახელობის საზოგადო ბის წევრი.**

## შიდა ქართლი

# შეიძლება დამყარდეს მშვიდობა

**როგორც** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ვახტანგ ქობალიამ გვაცნობა, 25-27 ნოემბერს მთავრობის შეიარაღებულ ფორმირებათა მხარეზე გადავიდა თენგიზ კიტოვანის 80 გვარდიელი. ამჟამად, თქვა მან, მიიღეს რა შესაბამისი შეიარაღება, ისინი გაემართნენ შიდა ქართლში, რათა დაიცვან ამ რეგიონის ქართული სოფლები სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და ოსი ექსტრემისტების თავდასხმებისაგან.

— როგორც ვფიქრობ, — თქვა ვ. ქობალიამ, — ჩვენ მხარეზე გადმოსული გვარდიელები არასდროს არ ყოფილან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგი. მათ უბრალოდ არ ჰქონდათ ობიექტური ინფორმაცია. როცა იგი მიიღეს, გადაწყვიტეს დამდგარიყვნენ შიდა ქართლში ჩვენი მიწების დასაცავად. და კიდევ, არა მგონია, რომ თენგიზ კიტოვანი ქართველი ხალხის მტერი იყოს.

— ცხინვალისა და ჯავის რაიონში, — თქვა შემდეგ მან, — უკვე აღარ არის საგანგებო წესები და ყოველივე ამის მიუხედავად, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები მაინც რჩებიან იქ. მათ უკვე განდევნეს მოსახლეობა შიდა ქართლის 22 ქართული სოფლიდან და ნამდვილ ძარცვა-გლეჯას ეწევიან იქ. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ისინი დატოვებენ შიდა ქართლს, ამ მიწაზე დამყარდება მშვიდობა და ქართველები და ოსები შეძლებენ კვლავაც ერთად იცხოვრონ მშვიდობიანად, რადგან ისინი მრავალი საუკუნის მანძილზე დამოყვრებული ხალხები არიან. რაც შეეხება ოს ექსტრემისტებს, როცა ისინი ხალხის პირისპირ დარჩებიან, იძულებული გახდებიან შეწყვიტონ თავიანთი არსებობა.

(ხეისი).

## ამინდი

# ზამთარიც გვეწვია

**დგება** ზამთარი. კლიმატური მონაცემებით მისი პირველი თვე დეკემბერი საქართველოს ტერიტორიაზე ნოემბერთან შედარებით 3-6 გრადუსით უფრო ცივია. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 6—9 გრადუსი სითბოს ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 0-დან 3 გრადუს სითბომდე, რესპუბლიკის უმეტეს მთიან რაიონებში კი 3 გრადუსი ყინვიდან 2 გრადუს სითბომდე. მაგრამ ცალკეულ წლებში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა რამდენადმე განსხვავდება საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან. მაგალითად, 1948 და 1953 წლებში იგი 3-4 გრადუსით დაბალი იყო საშუალო მრავალწლიურზე, ხოლო 1966 და 1981 წლებში ამდენითვე მაღალი. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი უმეტეს დაბლობ რაიონებში აღწევს 20-25, სანაპირო რაიონებში ზოგან 28 გრადუს სითბოს; აბსოლუტური მინიმუმი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იკლებს 6-16 გრადუს ყინვამდე, ქართლის ვაკესა და კახეთში 15-25 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მერყეობს ძირითადად 100-დან 200 მმ-დე, სანაპირო რაიონების სამხრეთ ნაწილში 240-დან 260 მმ-დე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში 10—50 მმ-ის ფარგლებში, თუმცა ცალკეულ წლებში ნალექების რაოდენობა მკვეთრად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური რაოდენობისაგან.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით წლევანდელ დეკემბერში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 3—5 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში 0—2 გრადუსი ყინვა, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 4—7 გრადუსი ყინვა, რაც 2-3 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. მესამე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურამ დაიკლოს ღამით დაბლობ რაიონებში 0—5 გრადუს ყინვამდე (შიდა დაბლობ რაიონებში ზოგან 7 გრადუს ყინვამდე) მთიან რაიონებში 12—17, მაღალმთიან რაიონებში 15—20 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა აფხაზეთში და ჩრდილო მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, დანარჩენ რაიონებში მასთან ახლოს და მასზე მეტი.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია 0—1 გრადუსი ყინვა (შიდა ქართლში, ელდარისა და შირაქის რაიონებში, აგრეთვე მთიან რაიონებში 2—3 გრადუსი ყინვა), მაღალმთიან რაიონებში 6—8 გრადუსი ყინვა, რაც 2—3 გრადუსით დაბალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. მესამე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 8—13 გრადუს ყინვამდე (შიდა ქართლში, შირაქის, ელდარის რაიონებში და მთაში 13-18 გრადუს ყინვებამდე), მაღალმთიან რაიონებში 19—24 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა შიდა ქართლსა და მთიან რაიონებში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები, დანარჩენ რაიონებში მასთან ახლოს და მასზე მეტი.

ციტრუსების გამოზამთრებისათვის საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის. აღმოსავლეთ საქართველოში ამინდის შედარებით არახელსაყრელი პირობები ნავარაუდევია ზამთრის საძოვრებზე, სადაც ყინვისა და თოვლის სახით მოსალოდნელი ნალექების შედეგად გართულდება მოზარდეულის შენახვა და ფარეხებამდე საკვების მიზიდვა.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ძირითადად ნორმასთან ახლოსაა მოსალოდნელი.

**ნიკოლოზ ბერაძე,**

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი

# იქმნება სამთო-სამაშველო ლეგიონ

**საქართველოში** საზოგადოებრივ-საწყისებსა და მოხალისეობის პრინციპებზე დაფუძნებული სამთო-სამაშველო საზოგადოების არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, მთელი რიგი ალპინისტური ბანაკების, კლუბების, სექციების და მათთან არსებულ სამთო-სამაშველო ჯგუფების წარმომადგენელთა კრებამ გადაწყვიტა შეექმნა საინიციატივო ჯგუფი ამ საზოგადოების ფორმირებისთავის. ნავარაუდევია, მას სამთო-სამაშველო ლეგიონი ეწოდოს.

სამთო-სამაშველო ლეგიონის უმთავრესი დანიშნულება საქართველოს მთიანეთში სტიქიური უბედურებისა თუ სხვა ექსტრემალური სიტუაციების დროს სხ დასხვა სახის კვალიფიციური მაშველო სამუშაოების ჩატარ იქნება.

იგი შეეცდება აგრეთვე მა მალური დახმარება გაუწიოს ოვნულ ხელისუფლებას და ადგილობრივი მმართველობის განოებს ამ ექსტრემალური სი აციების შედეგების ლიკვიდაც საქმეში.

ამ საზოგადოების დაფუძნე დაინტერესებულ პირებს და განიზაციებს ვთხოვთ მოგვმართ

საინიციატივო ჯგუფის სახელ

მ. მირიანაშვი

უზენაესი საბჭოს წევრი.

## განცხადება

# სიღნაღის წმ. ნინოს სასულიერო სასწავლებელი

**აცხადებს** მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. სკოლამდელი აღზრდა.
2. სწავლება დაწყებით კლასებში
3. შენობა-ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია

მიღება მოხდება გასაუბრებით. პირველ ორ სპეციალობაზე გასაუბრების საკითხები შერჩეულ იქნება შემდეგი საგნებიდან: საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა. შენობა-ნაგებობათა მშენებლობის და ექსპლუატაციის სპეციალობაზე გასაუბრების საკითხები იქნება აგრეთვე მათემატიკიდანაც.

გასაუბრებაზე დაიშვებიან 23 წლამდე (ჩაუთვლელად) ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრული კურსი ან აქვთ არას საშუალო განათლება.

განცხადებას რექტორის ლზე თან უნდა დაერთოს საშ განათლების ან არასრული ს ლო განათლების ატესტატი, დების მოწმობა (ასლი ან დე ცნობა საცხოვრებელი ადგილ 4 ცალი ფოტოსურათი ზ 3X4-ზე, ჯანმრთელობის 86-უ, საბუთების მიღება და ბა 9 დეკემბერს 11 საათიდა საათამდე ყოველდღე გარდა შ კვირისა. გასაუბრება დაიწყე იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისა მიმართეთ მიმღებ კომისია

**მისამართი:** სიღნაღის რ ქ. სიღნაღის საშუალო სკოლ

**სასულიერო სასწავლ რექტორატი**

# წმ. სტეფანე ხირსელის სასულიერო სასწავლებელი

**აცხადებს** მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. შენობა-ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია
2. სწავლება დაწყებით კლასებში
3. სკოლამდელი აღზრდა

მიღება მოხდება გასაუბრებით. ორივე სპეციალობაზე გასაუბრების საკითხები შერჩეული იქნება შემდეგ საგნებიდან — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. სპეციალობაზე — შენობა-ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია გასაუბრებაზე საკითხები იქნება აგრეთვე მათემატიკიდან.

გასაუბრებაზე დაიშვებიან 23 წლამდე ახალგაზრდები (ჩაუთვლელად), რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრული კურსი ან აქვთ სრული საშუალო განათლ

განცხადებას რექტორის ზე თან უნდა დაერთოს საშ განათლების ან არასრული ლო განათლების ატესტატი, დების მოწმობა (ასლი ან ნი), ცნობა საცხოვრებელი ლიდან, 4 ცალი ფოტოს ზომა 3X4, ჯანმრთელობის 86/უ საბუთების მიღება ბა 9 დეკემბერს 10 საათი საათამდე ყოველდღე გარ ბათ-კვირისა. გასაუბრება ბა 9 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობები მიმართეთ მიმღებ კომისია

მისამართი: სიღნაღის ტიბანი, წმ. სტეფანე ხირ მონასტერი.

**სასულიერო სასწავ რექტორატი.**

მთავარი რედაქტორი მარიკა ამაიშ

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-9
წერილების რედაქცია 99-7
იბეჭდება ოფსეტური წესით საგა
კორპუსში, ხოშარაულის ქ.
ინდექსი 6

[illegible]